საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№147 (9827) 2024 წლის 20 დეკემბერი, პარასკევი.

ფასი 1 ლარი

ოჰ, ეს ჩამპალი, გაყიდული ოპოზიციონალისტები!

4

ბამრომელ, თავს ნუ ანებებთ!

ქართული არქიტექტურის სიამაყე

6-7

ვახტანგ დავითაია

დააკვირდით პიანისტის თითების ფორიაქს, მოქანდაკის თითებს ქერწვისას და მექოთინისას, როდესაც მას ფორმა გამოჰყავს. აკეთეთ ესკიზები ხელით. თითები აზროვნებენ. კომპიუტერი ვერ შეცვლის თითებს.

9

სოფრომ ვარაზიშვილი

პურრი ჩვენი არსობისა...

ზურაბიშვილის ბოლო პერფორმანსიც დასრულდა!!!

ტყემალზე მჯდარი, ახირებული ლოთბაზარა

2

SOS!

ჯგუფურად ჩადენილი „ფსიქოტროპული“ დანაშაულისთვის 9 და 10 წელი — ციხეში!

11

ზურაბიშვილის ბოლო პერფორმანსიც დასრულდა!!!

ევროპარლამენტის ტრიბუნაზე მდგარმა ექსპრეზიდენტმა აჩვენა მაგალითი იმისა, რას ნიშნავს, იყო ქვეყნის მოღალატე. სალომე ზურაბიშვილმა ოფიციალურად მოითხოვა ევროპისგან, რომ განახორციელონ ინტერვენცია საქართველოს წინააღმდეგ და ერთგვარად უსაყვედურა ევროველებს, რომ ევროპას გამოწვევისთვის გოლომდე არ უპასუხია.

ტყემალზე მჯდარი, ახირებული ლოთბაზარა

„ვიმედოვნებ, უფრო ღრმა კრიზისისთვის ლოდინი არ მოგვიწევს, რათა ევროპამ იმოქმედოს. ქართველი ხალხის მხარდასაჭერად ბევრი საშუალება გაქვთ, რადგან ამ ბრძოლაში საქართველო გაიმარჯვებს, ის დაიცავს თავის თავისუფლებას, დემოკრატიასა და ევროპულ მომავალს. არ მინდა შედარება უკრაინულ გამბედაობასთან და ტრაგედიასთან, მაგრამ უკრაინა იბრძვის თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის, ევროპული მომავლისთვის და თქვენი მომავლისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გაიმარჯვებენ და მათ ბოლომდე მხარდაჭერა სჭირდებათ.

მეორე მხრივ, ჩვენ არა სამხედრო გზით, მაგრამ შიშველი ხელებით სხვაგვარად ვიბრძვით, რასაც ჩვენს მომავალზე ძლიერი გავლენა აქვს. კითხვა, რისთვისაც აქ მოვედი, რომ დამესვა, მარტივია: დააჩქარებთ ტრანზიციას, თუ ამის გახანგრძლივობას მთელი ზამთრის განმავლობაში დაუშვებთ? ქართველები სიმტკიცეს არ დაკარგავენ, მაგრამ ველით, რომ ევროპა ინიციატივას გამოიჩენს და ევროპასა და მის ღირებულებებს ერთად დავიცავთ“, – განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

ზურაბიშვილმა ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ქვეყნის ხელისუფლება კურსის ცვლილებაში დაადანაშაულა და თქვა, რომ მმართველმა პარტიამ ნათლად განსაზღვრული რუსული გზა დაიკავა, რუსულ გზაზე დადგა და თავს ისე აჩვენებს, თითქოს ევროპისკენ სურს მოძრაობა. მისი თქმით, ეს ფაქტობრივად, არჩევნების წინ დაიწყო, მაგრამ ნათლად ვერ დაინახა „ქართული ოცნების“ რუსული გზა, რომელიც ზურაბიშვილის თქმით, 2019 წლის 29 ივნისს, გავრილოვის ინციდენტის დროს დაიწყო.

* * *

ზურაბიშვილს ამ თითქსოდა ხმამაღალ განცხადებებს დარბაზში ტაშით შეხვდნენ სწორედ ის დეპუტატები, რომლებმაც უკრაინის უკვე ვადაგასულ პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის ახალი ჩერჩილი უწოდეს და ისეთივე სანახაობა დადგეს, როგორც ეს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე მოხდა. ცხადია, ზურაბიშვილმა შეიფერა მისთვის დადგმული მინი-სპექტაკლი და ახალ ამპლუაშიც შევიდა, მაგრამ ზუსტად 11 დღეში ზურაბიშვილის მიერ პრეზიდენტობის როლში ყოფნა დასრულდება.

მართალია, ევროპარლამენტში იყო ტაში, მაგრამ ამავე დროს იყო კრიტიკაც და გაცილებით სამართლიანი, ვიდრე კალასის მიერ ორგანიზებული ტაშის სცენა. ევროპარლამენტარი გრანისლავ ონდრუში აცხადებს, რომ ევროპარლამენტში არ უნდა ისმენდნენ ასეთ გამოსვლებს, სადაც საქართველოში არსებული კონფლიქტის მხოლოდ ერთი მხარე ფიქსირდება.

„მე საქართველოს შესახებ მაქვს ცოდნა, რადგან ამ ქვეყანაში 10 წელზე მეტია, ვმუშაობ და ჩართული ვიყავი არაერთი Twining პროექტის განხორციელებაში, რომელთა მიზანიც იყო საქართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესება ევროკავშირში გაწევრების გზაზე. ამიტომ შემიძლია, ვთქვა, რომ ევროკავშირში ძალიან ცოტა წევრია, ვინც ქართული რეალობა ისე კარგად იცის, როგორც მე. ამ გადმოსახედიდან, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ასეთი სიტყვით გამოსვლას საქართველოსადმი ჩვენი მოსაზრებების ფორმირების კუთხით ჩვენთვის არანაირი აზრი არ აქვს.

ნამდვილად, ასეთი პოლიტიკური მიმართვებისას, რომელშიც საქართველოში არსებული ვითარების მხოლოდ ერთი მხარეა წარმოდგენილი, გვჭირდება, რაც მთავარია, სამართლიანი და სიღრმისეული დისკუსია სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის საქართველოს მთავრობასთან

და ხალხთან ისტორიული კავშირებისა და პრობლემების გათვალისწინებით, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების მხედველობაში მიღებით, რამეთუ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში სიტუაციის მართვისას. მე ყოველთვის ვაკრიტიკებ ევროკავშირს და მისი ინსტიტუტების ამუამინდელ პოზიციას საქართველოსთან მიმართებით, რადგან ეს პოზიცია არ ითვალისწინებს იმ რეალობას, რომლის მართვაც უწევს საქართველოს მთავრობას“, – განაცხადა გრანისლავ ონდრუშმა.

ზურაბიშვილი გააკრიტიკეს ევროპარლამეტში, მაგრამ მხარი დაუჭირეს საქართველოში. მაგალითად, პატიმარი ექსპრეზიდენტი ამბობს, რომ დადებითად აფასებს ზურაბიშვილის გამოსვლას და, რომ ეს იყო საჭირო გამოსვლა უკიდურესად საჭირო დროს.

რადიკალური ოპოზიცია თვლის, რომ ზურაბიშვილმა ზუსტად ასახა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ტერორი და ოლიგარქის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ასე არ ფიქრობს პრემიერ-მინისტრი, რომლის განცხადებით, ზურაბიშვილი აღარ არის აქტუალური, კვირა-ნახევარი დარჩა თანამდებობაზე, შესაბამისად, არის მძიმე ემოციურ მდგომარეობაში, ვერ ელევა საკუთარ სკამს.

„ასე ადამიანი სკამს ეჯიდებოდეს, პირველად ვნახე. ასეთი ემოციური დამოკიდებულება ჰქონდეს საკუთარი სკამის მიმართ, როგორც აქვს სალომე ზურაბიშვილს, მართლა პირველად ვნახე. ვერ ელევა საკუთარ თანამდებობას, შესაბამისად, აქვს ძალიან მძიმე ემოციური მდგომარეობა, კადრულობს ყველაფერს, ყველაფერ უკადრებელს. ეს არის რეალური შეფასება. დანარჩენი საინტერესო არ არის“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

აღსანიშნავია, რომ ზურაბიშვილი „ისტორიული“ სიტყვით ნახევრად ცარიელ დარბაში წარსდგა. მცდელობის მიუხედავად კაია კალასმა ვერ შეძლო ევროპარლამენტარების სრული მობილიზება, მაგრამ ტაშის დამკვრელთა რაოდენობა საკმარისი იყო. ცნობილია ისიც, რომ ტაშის დაკვრა და მით უმეტეს ისეთი წამგებიანი ფიგურისთვის, როგორც ზურაბიშვილია, საკამოდ ძვირად ფასობს. კონკრეტულად, რამდენად შეფასდა ტაშის დაკვრა, ამას ცნობილი ფარას კანონის წყალობით მალე გავიგებთ.

პოლიტოლოგ სოსო მანჯავიძის განცხადებით, კაია კალასი და ბალტიისპირელები არიან ბრიტანეთის ბულდოგები, რომლებიც დაკავშირებული არიან ზუსტად ამ ნეოკონებთან. კერძოდ, ეს არის იგივე მაკკეინის ინსტიტუტი.

„საოცრებას იძახის მაკკეინის ინსტიტუტი – ეს რა უბედურებაა, არავინ არ მოკვდა. მოკალით ვინმე, რომ ავჯანყდეთო. რა უუნაროები ხართ, ბოლო-ბოლო რით ვერ მოკალითო – ეს იყო განცხადების შინაარსი. ამ დონის მავნებელ დეგენერატებთან გვაქვს საქმე, რომლებიც მთელ მსოფლიოში ურევენ სიტუაციას. ეს კალასი ზუსტად იგივეს ამბობს – 29 დეკემბრამდე მოკალით ვინმეო. როგორც იტყვიან, სალომე ფინთი გოიმივით უნდათ, რომ ააგდონ ისე, როგორც ააგდეს უკრაინელები და მოგეხსენებათ, რაც ხდება იმ უკრაინაში. ხომ ვიცით, რა საოცარი ევროპული მომავალი აუშენეს.

თან ვალებს ადებენ, რაც აქტივები აქვთ, იმას ართმევენ, თან გენოციდი არის, ზელენსკიც არალეგიტიმურია უკვე, კატასტროფული მდგომარეობაა ფრონტზე და თან მისაბაძად ჩვენ უკრაინას და მოლდოვას გვისახავენ. ამ დონის აბერაციაა – თავხედური, გიჟური, ავადმყოფური და სრულიად შეუფარავი ზეწოლა იმ მიზნით, რომ საქართველო განადგურდეს იმისთვის, რომ ფიჩხი იყოს რუსეთისთვის. ეს არის გეპოლიტიკური ამოცანა. ერთ-ერთი წერტილი ხარ და ამ წერტილის გარდა სატრანზიტო პოტენციალი აღარ უნდა იყოს სამხრეთ კავკასიაში, იქ ჩინეთს არ უნდა შეეძლოს საკუთარი ინტერესების გატარება, რუსეთზე არ მაქვს საერთოდ საუბარი“, – აცხადებს სოსო მანჯავიძე.

მისი თქმით, მათი ამოცანაა, რომ საქართველო უნდა გახდეს საყრდენი ახალი დიდი გეპოლიტიკური დაძაბულობის და საბრძოლო მოქმედებების.

წარმოიდგინეთ, ვადაგასული პრეზიდენტი გამოდის და ფაქტობრივად, მოუწოდებს ევროკავშირს, რომ ინტერვენცია განახორციელეთო. არაადეკვატურია. ეს ქალი არის გაუნათლებელი, უხიაკი, ახირებული ლოთი, რომელიც ვერც პოზიციონირებს. საერთოდ წარმოდგენა არ აქვს გეოპოლიტიკაზე. არ იცის, რა ხდება ევროკავშირში, რა ძალთა განალგებაა, რა ეპოქაა – ეგ საერთოდ ტყემალზე ზის. მოუწოდებს ევროკავშირს, რომ საქართველოში ჩაერიონ უფრო უხეში ძალით, ოღონდ რა ძალით, მაგაზე წარმოდგენა არ აქვს...

ზელენსკის მსგავსად სალომეც ილაყუნებს აღმა-დაღმა და ყველა მიხვდება, რომ მისგან არანაირი პერსპექტივა არ არის. ვერ წარმომედგინა, რომ ამ ბლუყუნა, ენაბლუ დედაკაცს აქ ვინმე მომხრე ეყოლებოდა, მაგრამ ყავს. უღირსობა დამახასიათებელია ჩვენი აგენტურული პოლიტიკური კლასისთვის, რომელიც უნდა წავიდეს მოუსავლეთში. ესენი არიან ქვეყნის მტრები, აგენტები და იმ ქვეყნის აგენტურა, რომელსაც ჩვენი განადგურება უნდა“, – აღნიშნა **for.ge**-სთან საუბრისას სოსო მანჯავიძემ.

ეს ქალი არის გაუნათლებელი, უხიაკი, ახირებული ლოთი, რომელიც ვერც პოზიციონირებს. საერთოდ წარმოდგენა არ აქვს გეოპოლიტიკაზე. არ იცის რა ხდება ევროკავშირში, რა ძალთა განლაგებაა, რა ეპოქაა — ეგ საერთოდ ტყემალზე ზის. მოუწოდებს ევროკავშირს, რომ საქართველოში ჩაერიონ უფრო უხეში ძალით, ოღონდ რა ძალით, მაგაზე წარმოდგენა არ აქვს...

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ნომრის ციტატა

„უცნაურია, 80 პროცენტით ცარიელი დარბაზი ესალმება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც თანამდებობაზე 29 დეკემბრამდეა და, რომელიც უარს ამბობს მისი შემცვლელისთვის უფლებამოსილების გადაბარებაზე. ამ ვადამდე 12 დღით ადრე მისი მოწვევა სტრასბურგში არის მორიგი ნიშანი, რომ ევროკავშირი უგულებელყოფს ქართველების არჩევანს“.

ტიერი მარიანი,
ევროპარლამენტარი.

პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ალენ ბერსეს შეხვდნენ

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ალენ ბერსეს ვიზიტის მნიშვნელობას და ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში რეფორმების განხორციელებისა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესში.

შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოსა და ევროპის საბჭოს ნაყოფიერ თანამშრომლობას, ასევე – ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

„ჩვენ გვქონდა ძალიან მეგობრული, პროდუქტიული შეხვედრა. ვისაუბრეთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, საქართველოსა და ევროსაბჭოს თანამშრომლობაზე. შევთანხმდით, რომ გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს ქვეყანასა და ევროსაბჭოს შორის. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენ გვაკავშირებს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი ინტერესია, რომ ეს თანამშრომლობა მაქსიმალურად აქტიურად გაგრძელდეს. პირადად გენერალური მდივნის როლი ამაში განსაკუთრებულია და დარწმუნებულები ვართ, ჩვენს ქვეყანას ექნება პირადად ბატონი ალენ ბერსეს მხარდაჭერა ყველა მიმართულებით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი თამარ ტალიაშვილი დაესწრნენ.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ალენ ბერსეს შეხვდა.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შალვა პაპუაშვილმა ალენ ბერსეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების პროცესი და შედეგები გააცნო.

„პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, აგრეთვე, ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე ესაუბრა და ძალადობრივი პროტესტის ქრონოლოგიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

შალვა პაპუაშვილმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიმდინარე მოვლენების ადეკვატურად შეფასების მნიშვნელობას.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს საპარლამენტო საქმიანობაში ოპოზიციის ჩართულობის მნიშვნელობაზე, როგორც დემოკრატიული პროცესის განუყოფელ ნაწილზე.

მხარეებმა ღია დიალოგის საფუძველზე, შემდგომი თანამშრომლობის მზაობა“ გამოხატეს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა თამარ ტალიაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თეა წულუკიანმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა გივი მიქანაძემ და აღნიშნული დელეგაციის წევრმა ეკა სეფაშვილმა.

ბაზარი კონკურენტული და დაბალანსებულია

ევროკავშირში ლუდის უმსხვილესი მწარმოებლის მიერ საქართველოში დაგეგმილ კონცენტრაციებზე კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ თანხმობა გასცა

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (GCCA) შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ნიდერლანდური Royal Swinkels-ის შვილობილი კომპანია) მიერ შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“, შპს „გენუინ ბრეივინგ კომპანის“, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიასა“ და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოჯისტიკის“ 100%-იანი წილების შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა.

ინფორმაციას კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, **GCCA**-ის მიერ შეფასებული იქნა ლუდის, არაალკოჰოლური სასმელების და ყავის იმპორტის ბაზარი.

„2023 წელს ლუდის ბაზარზე, მოქმედებდა 75 კომპანია, ბაზრის მოცულობა შეადგენდა 131 709 495 ლიტრს, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (**HHI**) გაუტოლდა 2273-ს. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი მცირედით აღემატება ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ მაჩვენებელს, თუმცა ბაზარზე წარმოდგენილნი არიან სამიზნე სუბიექტზე უფრო დიდი კომპანიები და ბაზარი ამ კუთხით საკმაოდ დაბალანსებულია და საერთო ჯამში კონკურენტულია.

არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე 2023 წელს მოქმედებდა 215 კომპანია, ბაზრის მოცულობა შეადგენდა 464 757 669 ლიტრს, ხოლო ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (**HHI**) – 2 590-ს. ბაზარი მაღალკონცენტრირებულია, თუმცა შესაბამისი ინდექსი კონცენტრაციაში მონაწილე პირების საბაზრო მდგომარეობით არ არის განპირობებული.

შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოჯისტიკა“ ოპერირებს სადისტრიბუციო მომსახურების დონეზე. სადისტრიბუციო მომსახურების ბაზრის მოცულობამ 2023 წელს შეადგინა 7 431 011 772 ლარი, ხოლო ბაზრის კონცენტრაციის ინდექსმა (**HHI**) 400 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.

შპს „ახალი ყავის კომპანია“ წარმოადგენს ყავის იმპორტიორ კომპანიას. ყავის იმპორტის ბაზარზე ოპერირებდა 200 ეკონომიკური აგენტი, ბაზრის საერთო მოცულობამ შეადგინა 6 625 788 კილოგრამი, ხოლო ბაზრის კონცენტრაციის (**HHI**) ინდექსი გაუტოლდა 1721 ერთეულს, რაც მიუთითებს, რომ ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია.

სააგენტოს მიერ კონცენტრაციის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტორიც, რომ აღნიშნულ კომპანიათა 100%-იანი წილების მფლობელი ერთი სუბიექტია, რაც ნიშნავს, რომ ისინი არსებული მდგომარეობით უკვე ერთიანდებოდნენ ერთ ჯგუფში და მათი დაჯგუფება კონცენტრაციის შედეგი არ იქნება. ამდენად, მათი ახლებურად დაჯგუფების გამო კოორდინირებული და არაკოორდინირებული ეფექტების გაჩენის რისკი არ არსებობს. ამასთანავე, კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება არც ერთ ბაზარზე არ ხდება, ვინაიდან, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ არ საქმიანობს არც ერთ შესაბამის ბაზარზე, მისი მაკონტროლებელი კომპანიები კი საქართველოს ბაზარზე არ ოპერირებენ.

შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, შეფასებული ბაზრების სტრუქტურისა და კონცენტრაციის მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გათვალისწინებით, განხორციელებული კონცენტრაცია არ მოახდენს არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე.

ინფორმაციისთვის შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ ნიდერლანდებში რეგისტრირებული **Royal Swinkels**-ის შვილობილი კომპანიაა საქართველოში. **Royal Swinkels** ევროკავშირში ლუდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელია, კომპანიის პორტფელში არის საქართველოს ბაზრისთვის ნაცნობი ბრენდი „**Bavaria**“.

Georgia Capital-ის ჯგუფის წევრი შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ თავის მხრივ „ყაზბეგის“, „შავი ლომის“, „აისის“ და ასევე საქართველოში **Heineken**-ის, **Amstel**-ის, **Krusovice**-სა და სხვა საერთაშორისო ბრენდების ოფიციალური მწარმოებელი და დისტრიბუტორია. საკონტროლო პაკეტის სანაცვლოდ **Georgia Capital**-ი მინიმუმ 63 მლნ დოლარს მიიღებს.

GCCA-ს წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია თუ მისი მონაწილე პირების ჯამური ერთობლივი შემოსავალი, საქართველოს ტერიტორიაზე, წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, 20 მილიონ ლარს აღემატება და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის ერთობლივი შემოსავალი 5 მილიონ ლარზე მეტია. **GCCA**-ის გვერდის ავლით, მის მიერ შეტყობინების განხილვამდე ან უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარდგენის ვალდებულების მქონე პირი ჯარიმდება“, – ნათქვამია საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ინფორმაციაში.

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, 2024 წელს სააგენტომ (**GCCA**) 14 კონცენტრაციაზე გასცა თანხმობა, ხოლო ამ ეტაპზე, ექვს კონცენტრაციასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლა მიმდინარეობს.

მგზავრთნაკადი ხუთ მილიონს მიაღწევს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ADP ჯგუფის წევრი TAV Airports-ის მენეჯმენტს შეხვდა, რომელიც თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს. ინფორმაციას საქართველოს მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

მსხვილი ფრანგული ჰოლდინგის ხელმძღვანელმა პირებმა ირაკლი კობახიძეს არჩევნებში მმართველი გუნდის გამარჯვება და პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

შეხვედრისას საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. კომპანიამ გამოთქვა სურვილი, დარჩეს საქართველოს ბაზარზე და გაგრძელოს ოპერირება, მათ შორის, თბილისის ახალ საერთაშორისო აეროპორტში.

„კომპანიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობაზე, რათა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურამ უპასუხოს გაზრდილ მგზავრთნაკადს და ახალი ავიაკომპანიების საჭიროებებს. აღინიშნა, რომ წლის ბოლომდე მგზავრთნაკადი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ერთი მილიონით გაიზრდება და თითქმის ხუთ მილიონს მიაღწევს.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოს ხელისუფლების სწორ პოლიტიკას, რაც ხელს უწყობს საქართველოში მეტი ახალი ავიაკომპანიის შემოსვლასა და მგზავრთნაკადის ზრდას თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში, შესაბამისად – ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარებას. დადებითად შეფასდა სახელმწიფოს ძალისხმევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვიზალიბერალიზაციის კუთხით, რაც უზრუნველყოფს ჩინეთიდან მგზავრთნაკადის ზრდას და საქართველოს გაზრით ახალი ავიაკომპანიების დაინტერესებას“, – აღნიშნულია მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

აფხაზეთში პარლამენტის დეპუტატი მოკლეს

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. პარლამენტის შენობასთან სროლის შედეგად დაჭრილი ერთ-ერთი პირი გარდაიცვალა.

გარდაცვლილი ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის წევრი ვახტანგ გოლანძიაა.

მანამდე, აფხაზურ მედიაში გავრცელდა ცნობები, რომ პარლამენტთან სროლის შედეგად ორი ე.წ. დეპუტატი – კან კვარჩია და ვახტანგ გოლანძია დაშავდნენ. ისინი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. პარლამენტთან სროლა, გუშინწინ მოხდა.

ოჰ, ეს ჩამპალი ოპოჟურნალისტები!



ედიშერ გვენეტაძე

თუ შესრულდა დავალება, რომელიც გაცემულია, ისე გაგვგლეჯენ, რომ სირია მონაგონი იქნება!

„მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას“, – ამ იდეოლოგიის მატარებლები რუსთაველის გამზირზე ორ კვირაზე მეტია, აქციებს მართავენ, თითქოს ხელისუფლებამ უარი თქვა ევროკულ კურსზე. სინამდვილეში კი, აქცია დიდი ხანია, გასცდა კანონის ჩარჩოებს და მიიღო რადიკალური ფორმა. ვინ დგას რუსთაველზე და რას აპროტესტებენ რეალურად რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერები – ამ საკითხებთან დაკავშირებით **for.ge** ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძეს ესაუბრა.

ჩვენთან საუბრისას ექსპერტი დავით კუხალაშვილი აცხადებს, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით ჩვენ უკვე სახეზე გვაქვს სექტანტთა მონაწილეობა ამ პროცესებში. ბატონო ედიშერ, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ჯგუფი დგას დღეს რუსთაველის გამზირზე? ინდივიდუალურად რომ გაესაუბრო ამ აქციის მონაწილეებს, ამბობენ, რომ ევროპული მომავლისთვის იბრძვიან და ამ დროს, ამ შეკრების ორგანიზებას აკეთებენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებებში არიან ჩართული.

ედიშერ გვენეტაძე: ერთმნიშვნელოვნად ვლაპარაკობ, რომ ესენი გადაქცეული არიან სექტად. ესენი არიან იმ ძალის წარმომადგენლები, რომელთაც ერქვათ ტროცკისტები. 20-იანი წლებში შობა-ახალი წელი აკრძალეს ტროცკისტებმა. ბავშვებს უკრძალავდნენ შობა-ახალი წლის აღნიშვნას. სხვა რა არის ის, რასაც საქართველოში ვხედავთ?! ნახეთ რა თქვა ვაშაძემ – „მშობლებს დაუპირისპირდითო“. სხვას არაფერს აკეთებდნენ ტროცკისტები. ტროცკის სიტყვებია: 15 წლის ზემოთ ვინც არის, ყველა დავხვრიტოთ, დანარჩენი კი აღვზარდოთ კომუნისტური სულისკვეთებითო.

ტვ.პირველზე ახალგაზრდა ადამიანი ლაპარაკობდა, რომ ეკლესიებია დასახური და დასაკეტიო. ერთი სიტყვა უნდა და იტყვიან დასანგრევიაო. დიახ, ასე ხდებოდა ტროცკის დროს. ჯერ დაკეტეს ეკლესიები და მერე დაიწყეს მისი ნგრევა და სასულიერო პირების დაკავება და დახვრეტა. გაგახსენებთ ეკა მიშველაძის განცხადებას, რომელმაც ზაფხულის აქციებზე როდესაც არასამთავრობები და მედიების რევოლუციას აწყობდნენ ასეთი სიტყვები გააჟღერა: პატრიარქი დააპატიმრეთ და მღვდლები გაკრიჭეთო. სხვას კი არაფერს აკეთებდნენ ტროცკისტები. ამიტომ ვამბობ, რომ დიახ, ესენი არიან ტროცკისტები, ტროცკის იდეოლოგიის მემკვიდრეები.

– ანუ, იდეოლოგიური მსგავსება არის ტროცკისტებსა და აკერმანის მოსწავლეებს შორის?

– რა თქმა უნდა. მაგალითი მინდა გითხრათ, რა უქნეს ტროცკისტემა ჩემს სოფელში უგანათლებულეს ადამიანს, მღვდელს ტარასი თევზაძეს. ეს მოხდა 1923 წელს. კაცი, რომელსაც უმანის სასწავლებელი ჰქონდა უკრაინაში დამთავრებული, ჯერ დაიჭირეს და მერე გაპარსეს. ეს ადამიანი ამის მერე ცხენზე დაჯდა, გული გაუსკდა და ცხენმა მიიყვანა სახლში. მეტი რა გაუკეთეს მამა შალვა კეკელიას?! ის ეკლესია, სადაც მსახურობდა მღვდელი თევზაძე, მერე დაანგრიეს. ვინც დაანგრია და ჯვარი გადმოაგდო ეკლესიიდან, მრევლი წყევლიდა ასეთი სიტყვებით: **პისერი მოგტეხოდესო!..** იცით, რა მოხდა? ჩამოვიდა ტაძრის სახურავიდან და კისერი მოექცა, სამი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი და პირდაპირი მნიშვნელობით, მატლებდასეული გარდაიცვალა. მეტიც, ვინც ამ ეკლესიის დანგრევას ხელმძღვანელობდა, მისი ოჯახი ამოწყდა. თვითონ წამებით მოკვდა. მისი გოგოები სკოლაში მუშაობდნენ და იქ ათენებდნენ ღამეს. სკოლას ცეცხლი გაუჩნდა და ორივე ცოცხლად ამოიწვა. აი, ეს მოხდა. ეს ყველაფერი დოკუმენტალურად მაქვს წიგნად გამოცემული. ისინი არსად არ გამქრალან, აქ არიან და იკრიბებიან რუსთაველზე. ნახეთ, რა თქვა ნინო ჯანგირაშვილმა – „შეეშინდათ და წავიდნენო“. როგორ წყურიათ სისხლი ქართველებს შორის. ხომ ვხედავთ როგორი ვითარებაა რუსთაველის გამზირზე. ერთი თქვას ამერიკის ელჩმა და დასრულდება იმათი აქციები.



მეუფე შალვა კეკელია:
გაგახსენებთ ეკა მიშველაძის განცხადებას: პატრიარქი დააპატიმრეთ და მღვდლები გაკრიჭეთო. სხვას კი არაფერს აკეთებდნენ ტროცკისტები.

– ანუ, აშშ-ის ელჩი მართავს ამ პროცესებს?

– ამერიკის ელჩი არის კაჟაია ზულავა – აუქნევს ხელს და ყვირიან გაღონები. დიახ, ამერიკის ელჩი მართავს პროცესებს. დაწიოს ფარდა და დამთავრდება ყველაფერი. ამის ორგანული ნაწილი იყო მაკრონის განცხადება, რომლის ქვეყანაში ყვითელჟილეტიანების აქციაზე 23 კაცი მოკლეს და ჩვენ გვითითებენ ესენი რამეს?! მაგრამ აქ „უსტავში“ აქვთ დაწერილი – ხელისუფლება უნდა შეიცვალოს მათ მიერ მართული ხელისუფლებით. გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრი ფულია ჩადებული, ამ ტერიტორიების გადანაწილება უნდათ. პირდაპირ გათქვა გახარიამ ესენი ! ჩვენ 20-მდე უნდა ვიმოქმედოთ, თორემ მერე დედა გვაქვს ნატირებიო.

33 წლის შემდეგ ზუსტად მეორდება 1991 წლის მოვლენები, რომელიც ჩემს თვალწინ ვითარდებოდა. ერთი აკლია მარტო, რუსთაველი ჩახერგილი არ არის მანქანებით და კიტოვანი ზღვაზე არ არის გასული, რასაც მოჰყვა ის, რაც ვნახეთ. ნახეთ, როგორი პარალელებია – „მხედრიონის“ მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება უნდათ, ე.წ. ვითომ დამცველები. ერთი ერთზე მეორდება პროცესები. სხვათა შორის „მხედრიონს“ არ უკადრებია და ეკლესიას, ჯვარს და მღვდელს არ შეხებია. ისინი ბავშვებს არ უკრძალავდნენ ნაძვის ხის ანთებას. იგივე იმ ოპოზიციიდან ვინმეს თავში გაუვლიდა, რომ ბავშვებისთვის ნაძვის ხის ანთების უფლება არ მიეცათ?! – არა. ესენი არიან უსაშინლესი ძალები.

– სხვათა შორის, როდესაც პარალელებზე ვსაუბრობთ, მაშინ ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდნენ რეჟისორები, მწერლები, მხატვრები, იგივე ხდება დღესაც...

– მაშინ, მართლა რეჟისორები იყვნენ. უდიდესი რეჟისორი იყო გიგა ლორთქიფანიძე, გიზო გაბისკირია. უდიდესი მსახიობები იყვნენ რამაზ ჩხიკვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი და ა.შ. ამათ შეედრება ესენი? ეს ე.წ. რეჟისორები, რომლებიც გამოდიან და ამბობენ, რომ რეჟისორები და მსახიობები არიან, ვის უნახავს ამათი რეჟისორობა, ან მსახიობობა? მაგრამ ნახეთ, ეს ე.წ. მსახიობები და რეჟისორები იმდენად „დავერბოვკებული“ ჰყავთ, რომ ითმინეს, ითმინეს და მაინც მიიყვანეს იქ. უნდა დავასახელო: ქეთი დოლიძე, ჟანრი ლოლაშვილი, მურმან ჯინორია, ლეო ანთაძე, ირმა სოხაძე. თქვენ წარმოგიდგენიათ, იმდენად „დავერბოვკებული“ ჰყავთ ეს ხალხი, რომ ღმერთმა დიდხანს აცოცხლონ, მაგრამ ცალ ფეხზე ცხვარი ჰყავთ მობმული და მაინც იძახიან იმას, რასაც ჩასძახებენ. ერთი რეჟისორი ჰყავთ, იქიდან დირიჟორი ჯოხს უქნევს და ესენიც მოქმედებენ.

პატრიარქი, დაუბრუნეთ ნაძვის ხე!

– როგორ ფიქრობთ, ამ ვითარებაში რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ვითარების განმუხტვისათვის?

– ეს არის ის ძალა, რომელმაც 20-იან წლებში წალეკა საქართველო, რომელმაც დააწერინა მწერლებს ლექსები. ე.წ. პოეტები და მწერლები რომ გვყავს, იგივე კოტიკა ყუბანეიშვილის მეთაურობით, დააწერინა ასეთი ლექსი: „მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას“, რაც დღეს ვაშაძემ გაიმეორა. იყო ასეთი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელსაც აქვს ერთი ნაწარმოები „კოლხეთის ცისკარი“ ლექსი დაუწერა იმ მანქანას, რომლითაც დასახვრეტი ხალხი გადაჰყავდათ. იგივე ხდება დღეს. დააბულინგეს ქალი, რომელიც ბავშვთან ერთად იყო, იმიტომ რომ აქციას არ შეუერთდა, ეუბნებოდნენ, რომ დედობის ღირსი არ ხარო. ესენი არიან სპეციალურ ლაბორატორიებში დამუშავებული ადამიანები.

მიკვირს, როგორ ვუძლებთ ამას. ან თუნდაც, ლარი როგორ უძლებს ამას. ეს გათვლილი არის ლარის ჩამოქცევაზე, ჯარში სიტუაციის შეცვლაზე. საშინელი გათვლები აქვთ. ამაში ძალიან დიდი ფულია გადახდილი. თუ შესრულდა დავალება, რომელიც გაცემულია, ჩვენ გაგვსრესენ და შემთხვევით არ ვხმაროობ ამ სიტყვას, გაგვგლეჯენ ისე, რომ სირია მონაგონი იქნება. აქ ამუშავდება 1921 წლის ხელშეკრულებები, ზოგს ზღვაზე გასვლა უნდა და ზოგს ხმელეთის შემოერთება.

ის ჩრდილოელი მეზობელი ამას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს, გამორიცხულია. ვიმეორებ, აქ თუ შესრულდა ის დავალება, რომელიც მიღებული აქვთ რუსთაველზე გამოსულებს, მაშინ ჩრდილოეთ კავკასიას ექნება მუდმივი საფრთხე და ამას ის ჩრდილოელი მეზობელი არ დაუშვებს, გამორიცხულია. არ მალავენ, პირდაპირ ლაპარაკობენ. ეს არის ცეცხლთან თამაში. როგორმე მშვიდობიანად უნდა მივიდეთ 20 იანვრამდე და მერე ბევრი რამე შეიცვლება.

ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ ფატალური შეცდომა არ დაუშვას, რადგან, რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერს ხელისუფლებას დააბრალებენ. მომართული ჰყავთ ტელევიზიები და ეს ე.წ. ჩამპალი ჟურნალისტები, რომლებიც ფულისთვის ყველაფერზე წამსვლელები არიან. ამიტომ, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ბეწვის ხიდზე კი არა, ბეწვი რომ შუაზე გავყოთ, აი, მაგაზე გავდივართ.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

დამთავრდება 20 იანვარს ეს „დროებითი მოვლენა“?!

ამ განცხადებებით და ქმედებებით, რაც ახლა ევროპარლამენტში ხდება, რასაც ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ქვეყნის ხელმძღვანელობა კადრულობს, ქართველი ხალხისთვის ხომ კარგად გაშიფრული და გაანალიზებული ფაქტებია. ზუსტად ის ხდება, რაზეც „ოცნება“ ამდენი ხანია, საუბრობს.

„საქართველოს აფეთქების შემთხვევაში ტალღა მთელ კავკასიას მოედება და ჩვენი მეზობლები ჩვენი ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადებებით ამიტომაც გამოირჩევიან“

არსებობს თუ არა ევროპარლამენტში საქართველოსთვის სანქციების დაწესების მოთხოვნაზე ვეტოს დადების შემდეგ გეგმა „ბ“, რომლის შედეგადაც საქართველოს ხელისუფლების დასანქცირების გადაწყვეტილება ევროკავშირის ზოგიერთმა ქვეყნებმა ინდივიდუალურად მიიღონ?

„მინდა მადლობა გადავუხადო ხუთ კონკრეტულ ქვეყანას, რომლებმაც ქართველი ხალხის მხარდამჭერი პოზიცია დააფიქსირეს ევროკავშირის საბჭოზე. ესენი არიან უნგრეთი, სლოვაკეთი, იტალია, ესპანეთი და რუმინეთი. მათ დაიცვეს ქართველი ხალხის ინტერესები ევროკავშირის საბჭოზე“, – განაცხადა პრემიერმა.

ევროპარლამენტარების ნაწილი საქართველოსთან დაკავშირებით ევროკავშირისგან კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ითხოვს. დაახლოებით ერთსაათიანი დებატების დროს, სწორედ ევროპულ კავშირს ევროპელი დეპუტატები გადამწყვეტი რეაგირებისკენ მოუწოდებდნენ და აცხადებდნენ, რომ ამას ერთიანი ფორმაც უნდა ჰქონდეს.

ინდივიდუალური სანქციები და ახალი არჩევნების დანიშვნა – ეს 2 საკითხი ევროპარლამენტარების გამოსვლების დროს მთავარი გზავნილი იყო. საქართველოსთან დაკავშირებული დებატები ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, დუბრავკა შუიცამ გახსნა.

ის, რაც ევროპარლამენტარების ნაწილისთვის ქართველი ხალხის მხარდაჭერა და ახალი არჩევნების დანიშვნაში დახმარებაა, მეორე ნაწილისთვის დესტაბილიზაციის მცდელობაა. ევროპელმა პოლიტიკოსებმა ზოგიერთი კოლეგა იმაშიც დაადანაშაულეს, რომ მათ სურთ საქართველოს ლეგიტიმური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლამ უმართავი სახე მიიღოს. კრიტიკა ისმოდა ევროკავშირში გაწევრების საკითხზეც. ევროპელი დეპუტატების ნაწილს მიაჩნია, რომ ევროკავშირში გაწევრება თანაბარ ურთიერთობებს უნდა ეფუძნებოდეს და სანქციები ზეწოლის ინსტრუმენტად არ უნდა იყოს გამოყენებული.

საქართველოსთან მიმართებით ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევაზე სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ევროპული საბჭოს პრეზიდენტსაც ესაუბრა. რობერტ ფიცომ ანტონიუ კოშტასთან სატელეფონო კომუნიკაციისას განაცხადა, რომ სანქციების დაწესება წითელი ხაზია და ქვეყანაში არსებული ვითარება ობიექტურად უნდა შეფასდეს. ამ საკითხს უნგრეთის მთავრობის სპიკერიც გამოეხმაურა. უფრო კონკრეტულად კი იმ განცხადებას, რომლის მიხედვითაც ირაკლი კობახიძემ უნგრეთსა და სლოვაკეთთან ერთად ქართველი ხალხის ინტერესების დაცვისთვის მადლობა გადაუხადა იტალიას, ესპანეთსა და რუმინეთს. ზოლტან კოვაჩმა დაწერა, რომ ლიბერალების ისტერიის მიუხედავად უნგრეთი ქართველი ხალხის ნების გვერდით დგას.

საქართველოში კი ოპოზიცია უნგრეთსა და სლოვაკეთს აკრიტიკებს, რომლებმაც საქართველოს ხელისუფლების დასანქცირება დაბლოკეს. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან ინდივიდუალური შეზღუდვების დაწესების მოლოდინი აქვთ.

„ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ წევრი **ლანა გალდავა** აცხადებს, რომ უნგრეთი და სლოვაკეთი რუსეთის მოკავშირე ქვეყნები არიან.

„ევროკავშირში არის ორი ქვეყანა, რომელიც, ამავდროულად, არის რუსეთის ხელისუფლების მოკავშირე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში ინდივიდუალურად ქვეყნების მიერ დაწესებულ სანქციებს, იმის მსგავსად, როგორც ეს დაწესდა ბალტიის ქვეყნების მხრიდან. ფაქტი არის ერთი, ევროკავშირის კარი არის ღია ქართველი ხალხისთვის“, – აცხადებს ლანა გალდავა.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** ამბობს, რომ ევროპარლამენტში მყოფ ლიბერალურ ძალებს, არჩევნების შემდეგ, ჰქონდათ კონკრეტული გეგმა, რომ ამ სანქციების მეშვეობით ქართველი ხალხის დასჯა და კიდევ უფრო პოლარიზება მოეხდინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. საქართველოს მხარდამჭერი ქვეყნების რიცხვი ევროკავშირში ყოველდღიურად იზრდება. ამიტომ ქადაგიძე **for.ge**-სთან არ გამორიცხავს, რომ კონკრეტულმა ქვეყნებმა ინდივიდუალური სანქციების დაწესებაზე იფიქრონ, რაც ვერანაირ გავლენას საქართველოზე ვერ მოახდენს და ესეც დროებითი მოვლენაა.

„ამ განცხადებებით და ქმედებებით, რაც ახლა ევროპარლამენტში ხდება, რასაც ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ქვეყნის ხელმძღვანელობა კადრულობს, ქართველი ხალხისთვის ხომ კარგად გაშიფრული და გაანალიზებული ფაქტებია. ზუსტად ის ხდება, რაზეც „ოცნება“ ამდენი ხანია, საუბრობს. ყველას ჩამოეხსნა ნიღაბი და კარგად გამოჩნდა, ვინ ვის ინტერესებს ატარებს. დავინახეთ ასევე ახალი მეგობარი ქვეყნები, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებით ხედავენ, რომ ევროპარლამენტის მხრიდან არასამართლიანი დამოკიდებულებაა. ამას ზოგიერთი მათგანი პირდაპირაც ამბობს.

ამიტომ არაფერია გმორიცხული, რომ დაიწყონ მეორე გეგმის ამუშავება და ზოგიერთმა ქვეყნებმა ინდივიდუალური სანქციების დაწესება დაიწყონ. სწორედ ესტონეთის და ლიეტუვას მთავრობების გადაწყვეტილებაა ამ გეგმის ნაწილი. ისინი ცდილობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება გაბრაზდეს და მათ პროვოკაციას წამოეგონ. „ოცნებამ“ არაერთხელ თქვა, რომ ეს არის დროებითი მოვლენა. მაიდენის ადმინისტრაცია ევროპელ კოლეგებზე გავლენით და ზეწოლით ცდილობს, საქართველო მაქსიმალურად დააზიანოს. ასევე, კავკასიაში სიტუაცია მაქსიმალურად დაიძაბოს, რადგან საქართველო საკვანძო ქვეყანაა, რომლის აფეთქების შემთხვევაში, ტალღა მთელ კავკასიას მოედება. ეს იციან ჩვენმა მეზობლებმა, ჩვენი ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადებებით ამიტომაც გამოირჩევიან“, – ამბობს ქადაგიძე.

მისივე თქმით, ძალიან საინტერესოა ბრალდება ამერიკის მოქმედი ადმინისტრაციის მისამართით, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა გააჟღერა. ქადაგიძე ამბობს, რომ ჯეფრი საქსი, ჯო ბაიდენის ადმინისტრაციას, საქართველოში ხელისუფლების ცვლილებასა და კავკასიის რეგიონში დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს.

„ტაკერ კარლსონთან 2-საათიან ინტერვიუში, საქსი ამბობს, რომ შტატები საქართველოსა და რუმინეთში მიმდინარე პროცესებში ღიად ერევა. ამავე ინტერვიუში პროფესორი შოკისმომგვრელ კატასტროფას უწოდებს ბაიდენის ადმინისტრაციის მუშაობას და აღნიშნავს, რომ ამერიკის 46-ე პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მცდელობის მიუხედავად, დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს.

ჯეფრი საქსის ვრცელი ინტერვიუ, ამერიკის ახალი პრეზიდენტის, მომავალი ადმინისტრაციის ყურადღების ცენტრში მალევე მოექცა. ილონ მასკმა, რომელიც 20 იანვრიდან, ტრამპის „მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტს“ უხელმძღვანელებს, მოსაზრება ტვიტერის პირად გვერდზე გააზიარა – სათაურით – „ძალიან საინტერესო ინტერვიუ“. ახლა მაინტერესებს, რას იტყვიან ამაზე ჩვენს ოპოზიციაში

და ევროპარლამენტში მათი პატრონები? ეს ინტერვიუ და ტრამპის ადმინისტრაციის მყისიერი რეაქცია ნიშნავს იმას, რომ 20 იანვრის შემდეგ, ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, საქართველოსა და შტატების ურთიერთობა გადაიტვირთება. ამერიკის მოქმედ და არჩეულ პრეზიდენტებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, მათ შორის უკრაინის ომთან დაკავშირებით, პრინციპულად განსხვავებული პოზიციები აქვთ. ამ მიმართულებით, ამერიკის 47-ე პრეზიდენტის პრიორიტეტები საქართველოს ხელისუფლების მიდგომებს ემთხვევა, რაც ახალ ადმინისტრაციასთან სამომავლო თანამშრომლობისა და მტკიცე პარტნიორობის წინაპირობა იქნება“, – ამბობს ქადაგიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

დავით მათიკაშვილი:

რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, არის ჩვენი სუვერენიტეტის გაძლიერება

გუშინ მათიკაშვილს კითხვა დაუსვეს „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრების განცხადებაზე, რომ არ აპირებენ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან ალენ ბერსესთან შეხვედრას.

– გვარამიას რაც არ მოსწონს, როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნისთვის არის ძალიან პოზიტიური და საქართველოს მომავლისთვის სასარგებლო. რა თქმა უნდა, ყოველგვარი აზრი, შეხედულება, წიაღსვლა, თუ რამ ყოფილა დღემდე ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით, ამ ყველაფერს დაესვა წერტილი. საზოგადოება კარგად ხედავს და აღიქვამს, რომ ჩვენ აქტიური თანამშრომლობა გვაქვს ევროპულ სტრუქტურებთან, სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებთან, ასევე ელჩებთან. დღე არ გადის, საგარეო საქმეთა მინისტრი კონკრეტული ქვეყნის ელჩს არ შეხვდეს. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ უკვე შემდგარი ლეგიტიმური არჩევნების ფონზე, ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, ლეგიტიმური მთავრობა და ის ახორციელებს ქვეყნის მართვას და შემდგომ პროგრესს. ამას მიეჩვიოს ყველა და რეალობას გაუსწორონ თვალი.

ნიკა გვარამიას თუ დავუჯერებთ, „რუსულ რეჟიმს“ ეხმარება დონალდ ტრამპი შეერთებულ შტატებში, ორბანი ევროპაში, კიდევ პირები, რომლებიც კონკრეტული ქვეყნების ხელისუფლების სათავეში არიან. ამ ადამიანს და მის წიაღსვლებს თუ გავყვებით, გამოდის, რომ რუსეთის ძალაუფლება იმდენად დიდია, რომ სადაც მოინდომებს, ყველგან შეუძლია ინტერესის განხორციელება. აშკარაა, რომ ან შეგნებულად, ან შეუგნებლად და არ მგონია, რომ გვარამია რაიმეს შეუგნებლად აკეთებდეს, ის რუსეთის პროპაგანდირებას ახდენს. ყველაფერს აქვს ზღვარი და საზოგადოებამ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის. ვინმემ საქართველოში პრორუსული საქმე თუ გააკეთა, ეს იყო სააკაშვილი და გვარამია, 2008 წლის ამბებით, როდესაც ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ჩააბარა ოკუპანტს და ზედ მიაყოლა სტრატეგიული დანიშნულების ენერგოობიექტები, რომელზედაც სააკაშვილმა მალევე მოუწერა ხელი რუსეთს!.. – განაცხადა დავით მათიკაშვილმა.

ვახტანგ დავითაია 90

2024 წლის 22 დეკემბერს თვალსაჩინო ქართველ არქიტექტორს, ბატონ ვახტანგ დავითაიას 90 წელი უსრულდება.

ვახტანგ დავითაიაზე მრავალი სტატია, ესსე, წერილია გამოქვეყნებული, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ პროფესიულ გამოცემებში. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილია ცალკეული თავები სხვადასხვა არქიტექტურულ მონოგრაფიებში.

ბატონი ვახტანგის წიგნები, ინტერვიუები, საავტორო ფილმები ამომწურავ ცნობებს გვაწვდიან მის არქიტექტურულ ხედვაზე.

ქართველი და უცხოელი კოლეგების, ხელოვნებათმცოდნეების და არქიტექტურის მკვლევარების რეცენზიების და კომენტარების ნაწილი მის პროექტებზე და რეალიზაციებზე, წიგნებზე, სტატიებზე, შესულია „მაგთიკომის“ მიერ გამოცემულ, ორი საერთაშორისო პრემიით აღნიშნულ, ქართულ-ინგლისურ მონოგრაფია-ალბომში – „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა“ და პროფესორ მაია დავითაიას წიგნში – „ბრწყინვალე ბუნება. ბრწყინვალე ხალხი. ბრწყინვალე არქიტექტურა“ (ქართულ-რუსული ვერსია. 2011 წ. გამომცემლობა „საარი“).

ჩავთვალე, ამ საიუბილეო წერილში მესაუბრა მხოლოდ ფაქტებზე, რომლებიც თავად „მოგვითხრობენ“ ვახტანგ დავითაიაზე.

ვფიქრობ, ამ საიუბილეო წერილის დაწყება მართებული იქნება მისი თანამედროვე ქართული და საზღვარგარეთის კულტურის მეტრების გამონათქვამებით ვახტანგ დავითაიაზე.

* * *

„ვახტანგ დავითაია მუდამ ახლის ძიებაშია, ნოვატორია; იგი სწვდება ეროვნული არქიტექტორული ტრადიციების არსს და კარგად იცნობს თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს. ამიტომ იგი მუდამ თანამედროვეა და ახლის მაძიებელი.

ვახტანგის შემოქმედება მეტად სამოძღვროა ჩვენი ახალგაზრდა არქიტექტორებისა და საერთოდ ახალგაზრდობისათვის. მე, როგორც მისმა მასწავლებელმა, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს მის მოღვაწეობას ყველა სფეროში – დაწყებული პირველი კურსიდან დღემდე, შემიძლია დავადასტურო, რომ ნიჭისა და შრომის, ძიებისა და მიზანდასახულობის შერწყმას მუდამ სათანადო ნაყოფი და წარმატება მოაქვს“.

ირაკლი ციციშვილი,
პროფესორი, აკადემიკოსი.

* * *

„ამ გამოფენაზე განსაკუთრებით გამოჩნდა ვახტანგის საერთო მაღალი კულტურა. მან ძალიან კარგად იცის თანამედროვე არქიტექტურა. ეს ყველგან იგრძნობა. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეს ცოდნა მას ეხმარება ეროვნული არქიტექტურის შექმნაში. მის ნამუშევრებში ყოველთვის იგრძნობა ეროვნული სული. მისი მემორიალებიდან განსაკუთრებით მომწონს კავკასიის დამცველთა მემორიალი, რომელიც შეიქმნა ა. ჩიქოვანთან და მოქანდაკე გ. კალაძესთან ერთად, აქ ძალიან კარგად არის ერთმანეთთან შერწყმული გარემო და არქიტექტურა. ძალიან მომწონს ისიც, რომ ვახტანგის ნამუშევრები მთელ საქართველოშია „მიმოფანტული“. იგი არ ცდილობს, რომ უეჭველად თბილისში განხორციელდეს მისი პროექტები. მის ნამუშევრებს ნახავთ ფოთში, ცხაკაიაში, ბაკურიანში, მუხრანში, გულრიფშში, ქუთაისში“.

რობერტ სტურუა,
რეჟისორი.

* * *

„ვახტანგთან დიდი ხნის შემოქმედებითი მეგობრობა მაკავშირებს. ეს მეგობრობა დაიწყო ჯერ კიდევ 1967 წელს, როცა ჩვენ ერთად ვიმუშავეთ „კოლხეთის დედაზე“ ქალაქ ფოთში.

ვახტანგთან ჩემი შემოქმედებითი ურთიერთობა განაპირობა არა მხოლოდ მისმა ნიჭმა, არამედ მისმა პიროვნულმა თვისებებმაც: დიდმა შრომისმოყვარეობამ, პასუხისმგებლობის გრძნობამ, შინაგანმა დისციპლინამ, თანამედროვეობის მძაფრმა შეგრძნებამ“.

ელგუჯა ამაშუკელი,
მოქანდაკე

* * *

„მეც კარგად ვიცნობ ბატონ ვახტანგს. მას აქვს უშრეტი ენერგია, განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობა, არის საოცრად კომუნიკაბელური, ავკარგიანი კაცი. კაცი, რომელსაც შეუძლია ბოროტებას სიკეთე შეაგებოს. უყვარს სიცოცხლე, უხარია სიცოცხლე და ამ სიხარულის ზეიმიც.

აქვს განსაკუთრებული თვისება: მისთვის ერთია სიტყვა და საქმე.

თქვა და გაკეთდა:

მსოფლიოს 30-მდე უნივერსიტეტში და საერთაშორისო კონფერენციებზე აქვს წაკითხული ლექციები ქართულ არქიტექტურაზე, ქართულ კულტურაზე.

იყო ტრადიციული, იმავდროულად თანამედროვე, და თავისუფალი, თვითმყოფადი და თავისთავადი, ეს მხოლოდ გამონაკლისების ხვედრია“.

ელენე კალანდაძე,
არქიტექტორი, პროფესორი.

ქართული არქიტექტურის სიამაყე

ბატონო ვახტანგ!

თანამედროვე ქართული არქიტექტურის ერთ-ერთო ულირსეულესი დიდოსტატო!

თქვენი მეგობრები, კოლეგები და ყოფილი მოსწავლეები მოგესალმებიან დიდ შემოქმედს, მოღვაწეს, არქიტექტორების მრავალი თაობების აღმზრდელს, დიდებულ პუბლიცისტს და გილოცავენ დაბადების 90 და არქიტექტურული შემოქმედების 70 წლისთავს.

თქვენ არქიტექტორთა იმ პლეადას წარმოადგენთ, რომელთაც საბჭოთა პერიოდში მოგიხდათ შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლა და უშუალოდ იწვნიეთ „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“ არქიტექტურის, შემდგომ „ზედმეტობის აღმოფხვრის“ სახელდებული უმწვავესი პროცესი და ხრუშჩოვიზმის ზეობა.

ტიპური პროექტირების და სამშენებლო ინდუსტრიალიზაციის მასობრივი დანერგვის პერიოდში, როდესაც თითქმის წარმოუდგენელი იყო შეგექმნა გამორჩეული, შენი ერის არქიტექტურულ ტრადიციებზე დამყარებული ახალი არქიტექტურა, პირველივე თქვენს შემოქმედებით ნაწარმოებებში დაამტკიცეთ, რომ კონცეპტუალურად ემოჯნებით უსახური არქიტექტურის („არქიტექტურა ბრმებისთვის“ ვ. დავითაია) გიგანტურ მანქანას. თანაავტორებთან ერთად შექმნილი პროექტები ამის თვალსაჩინო მაგალითებია: „მზიური ველი“ ბაკურიანში; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მესტიაში, სოხუმში; კულტურის სასახლე ფოთში; სამხატვრო გალერეა ქ. სენაკში; ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები: წევაში, საგარეჯოში; პურის ქარხნები: ვაზისუბანში და თბილისის ზღვის რაიონში; ხელოვნების ცენტრი გულრიფშში; სკოლა 600 მოსწავლეზე სოფ. გავაზში; სკოლა 300 მოსწავლეზე სოფ. სამღერეთში; კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში; გამარჯვების მონუმენტი გორში; მემორიალი „დიდება შრომას“ და დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში; „ხსოვნის ტაძარი“ სოფ. მუხრანში; „ალგეთის ბაზილიკა“ სოფ. ტბისში; „ხსოვნის კუბი“ ქ. სენაკში; „მეზღვაურთა მემორიალი“, „კოლხეთის დედა“ და ცოტნე დადიანის ძეგლი ქ. ფოთში; კულტურის ცენტრი „მთაწმინდა“ თბილისში და მრავალი სხვა.

დასანანია რომ არ განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი პროექტები – სოფლები ბისო, ხახმატი, ხორნაბუჯი; ხელოვნების სასახლე ფოთში; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. სოხუმში; ბალნეოლოგიური სანატორიუმი ნოქალაქევში; 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის კონკურსში გამარჯვებული მემორიალი თბილისში; აეროპორტის გზატკეცილის სივრცობრივ-მხატვრული ორგანიზაციის კონცეპტუალური პროექტი და სხვა მრავალი, რომელთა რეალიზაცია საქართველოს სულ სხვა რაკურსით წარმოაჩენდა მსოფლიოს ქვეყნებს შორის.

თქვენ ბრძანდებით რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სსრკ-ის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს კომკავშირისა და მინისტრთა საბჭოს პრემიების, „ინტერარქიმის“ შვიდგზის ლაურეატი.

ჩვენთვის საამაყოა, რომ თქვენ ხართ არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი წევრი.

თქვენი საავტორო გამოსვლები მსოფლიო „ინტერარქის“ კონფერენციებზე, არქიტექტურულ ფორუმებზე, უცხოელ სტუდენტთა წინაშე, იყო არა მხოლოდ თქვენი და თანაავტორების ნამუშევართა ჩვენება, არამედ ქართული არქიტექტურის, კულტურის, ისტორიის გაცნობა მსოფლიო საზოგადოებისთვის.

ნიშანდობლივია თქვენი მეგობრის, სამწუხაროდ, აწ განსვენებულის, აკადემიკოს გიგა ბათიაშვილის შეფასება:

„მე არ მეგულება მსოფლიო არქიტექტურულ სივრცეში უფრო მნიშვნელოვანი ქართველი მოღვაწე ვიდრე ვახტანგია. თუ კი სადმე ვიყავი ვახტანგის ნაკვალევზე, ყველგან ღირსეულად იყო წარმოჩენილი ქართული არქიტექტურა, რადგან ამგვარად ვახტანგმა მიიტანა იქ. ამისთვის მთელი არქიტექტურული საზოგადოების დიდი მადლობა ეკუთვნის მას. მე თავს უფლებას მივცემ ჩემი ნაფიქრალი გაგიზიაროთ. ვახტანგი რეალურად იმ არქიტექტორთა მწყობრშია, როგორებიც იყვნენ გიორგი ლეონავა, მიხეილ შავიშვილი, ქურდიანები.

არქიტექტურული საზოგადოება, ვინც კი გასულ საუკუნეში მოღვაწეობდა და დღესაც მოღვაწეობს, ვალში ვართ მასთან“.

ბატონო ვახტანგ, შეუფასებელია თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა, თქვენდა უნებურად საზოგადოებაში თავისთავად დამკვიდრდა „დავითაიას არქიტექტურული სკოლა“.

სამაგალითო და განუმეორებელია თქვენი ზრუნვა გარდაცვლილი მეგობრების სახელის უკვდავსაყოფად. ქართველი საზოგადოება დიდად აფასებს თქვენს ღვაწლს მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, ჭაბუა ამირეჯიბის, რამაზ ჩხიკვაძის, ანზორ ერქომაიშვილის, დიმიტრი ალექსიძის, თენგიზ სუხიშვილის დანატოვარ შემოქმედებით მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში.

ბატონო ვახტანგ, თითოეულ ჩვენგანს დიდ პატივად მიგვაჩნია თქვენთან მეგობრობა, რადგან ესაა მეგობრობა პიროვნებასთან, რომელიც მუდმივად მზადაა, გაგვიწიოს თანადგომა და თანაალმობა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდებულ თარიღს, გისურვებთ დღეგრძელობას და მზეგრძელობას.

მეგობრები, კოლეგები, მოსწავლეები

* * *

„რას ნიშნავს – ვახტანგ დავითაია მეგობარი? ვინც თვითონ ირჩევს მეგობრებს და თანამოაზრეებს ეძებს მათში; ვინც თვითონ იცავს მეგობარს და საკუთარ აზრს მის შესახებ; ვისაც მუდამ არ სცალია „სალაღობო-სამეგობროდ“ და იცლის სამეგობროდ, როცა სალხინოა და უფრო მაშინ, როცა „საჭიროა“.

ვახტანგ დავითაია – თანამშრომელი. ესაა კაცი, ვინც საქმიანი პარტნიორია – ფრთხილი და თამამი; ვინც გთავაზობს დიალოგს; აქვს სათქმელი და სურს მოსმენა; ვისაც შეუძლია დაგეთანხმოს, დათმოს, დაგელოდოს და დაგარწმუნოს.

ვახტანგ დავითაია – ადამიანი და თანამოქალაქე: ესაა კაცი, ვისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ არის, თუმცა უცხოა; გაუცხოება“, ვისაც სურდა დაეძლია უპიროვნო არსებობა და დასძლია; არ სურდა ნაცრისფერი ყოფილიყო და სახიერია; ვისაც შეუძლია მართოს საკუთარი „მე“.

შოთა ბოსტანაშვილი,
საერთაშორისო აკადემიის პროფესორი.

* * *

„ვახტანგ დავითაია „პოსტმოდერნიზმზე“ გაცილებით ადრე გამოჩნდა არქიტექტურულ სცენაზე, დაუკავშირა მისი არქიტექტურა „**Genius Loci**“-ს – ადგილის სულს და წარსულს. მისი შენობები ყოველთვის, სიღრმისეულად ითვალისწინებდნენ და უკავშირდებიან სპეციფიურ რეალობებს. ამ პრინციპით, ის, მის ფილოსოფიურ მიდგომას ანიჭებდა სიღრმეს, დროულობას და მნიშვნელოვან ღირებულებას. ის ხშირად ამბობს: არქიტექტორი, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც მსახიობი სხვადასხვა როლში, უნდა განიცდიდეს მეტამორფოზას.

ვახტანგ დავითაიას არქიტექტურამ გადააბიჯა ყოველგვარ „იზმს“. ის დაფუძნებულია ბუნე-

კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში.



„ხსოვნის ტაძარი“ სოფ. მუხრანში

გრივ ფესვებზე, იმავდროულად, მუდმივად თვითმყოფადია. არქიტექტურა, რომელსაც აღტაცებაში მოვყავართ, უპირველესად ყოვლისა, უნდა გამოცადოს დრომ და სივრცემ, ვინაიდან ესაა ჭეშმარიტი გამოხატულობა ემოციისა.

მის ნამუშევრებში არის სიახლის ბუნებრივი ძიება, ბარტოკის მუსიკის მსგავსად, რომელიც იბადება ტრადიციული ღირებულებებიდან და წყაროებიდან.

ვახტანგი მცირეთაგან ერთ-ერთია, რომელმაც თავის ნამუშევრებში შესძლო გამოევლინა იშვიათი, ბევრისთვის მიუწვდომელი „ მომხიბლაობა, მაგია და ჯადოქრობა“.

რიჩარდ ინგლანდი,

მალტა, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

* * *

„ძვირფასო ვახტანგ! შენი წიგნი-ალბომი განსაკუთრებულია – სააღსარებო, შემოქმედებით აღსავსე, შესწავლის და გააზრების ღირსი. რა საუცხოო პორტრეტით იხსნება! თითქოს ვენეციელი დოჟი ხარ, რომელმაც ეს ესაა მოიხადა ბერეტი, რომელიც მას წოდებით ეკუთვნის. მეორე სურათში კი მე შევიცანი თავის თავში დარწმუნებული ოსტატი. ამ წიგნის ადგილი საჟურნალო მაგიდაა, ყველაზე ძვირფას გამოცემათა შორის, სადაც მას ნახავენ ჩემი სტუმრები, რომლებსაც მოვუყვები ჩემს მეგობარ ვახტანგ დავითაიაზე.

ეს წიგნი შეიძლება მივიჩნიოთ ეტალონად არქიტექტურული მონოგრაფიისა, მაგალითად თუ როგორ უნდა წარმოადგინოს ოსტატმა საკუთარი შემოქმედება. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ახალი წიგნი არ ყოფილა მოულოდნელობა, არამედ კანონზომიერი შედეგია დიდი მხატვრის მკაფიო ცხოვრებისა“.

ფელიქს ნოვიკოვი,

სსრკ-ის სახალხო არქიტექტორი.

* * *

„ვახტანგ დავითაიასთან მიმართებაში ხშირად მოგვიხდება სიტყვების „პირველად“ და „ერთადერთის“ მოხმობა.

ვახტანგ დავითაია 1958 წელს გახდა არქიტექტურის საერთაშორისო კავშირის (UIA) სტუდენტური დიპლომების კონკურსის პირველი ქართველი ლაურეატი.

1987 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და იუნესკოს ეგიდით, ევროპის რიგი ქვეყნების მთავრობათა მხარდაჭერით, დაარსდა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემია. აკადემიის დამფუძნებელი წევრები იყვნენ XX საუკუნის არქიტექტურის მეტრები.

ვახტანგ დავითაია 1989 წელს არჩეულ იქნა აკადემიის პროფესორად, ხოლო 1994 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად. ის ნომინირებულ იქნა XX საუკუნის უდიდესი არქიტექტორის, კლასისიკოსის ფელიქს კანდელას მიერ. ვახტანგ დავითაია არის პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი წევრი ამ აკადემიის.

არქიტექტურის აკადემიის წევრად არჩევა უაღრესად საპატიოა, მაგრამ ის მით უფრო საამაყოა არჩეულ სიდიდეთა კოჰორტაში: **პიშო კუროკავა** (იაპონია), **ცეზარ პელლი** (აშშ), **თეოდორე გონსალეს დე ლეონი** (მექსიკა), **გიუნტერ გენიში** (გერმანია), **ლუსიენ კრილი** (ბელგია), **პაი რატან ბალა** (ინდოეთი), **როლენ სიმონე** (საფრანგეთი).

ბატონი ვახტანგი არის არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ბიენალე-ტრიენალეების შვიდგზის ლაურეატი.

1987 წელს, ქ. სოფიაში, „ინტერარქ-87“-ზე **ლუდმილა ჟივკოვას** სახელობის კულტურის სასახლეში მოეწყო ვახტანგ დავითაიას პერსონალური გამოფენა. ეს იყო საბჭოთა არქიტექტორის პირველი პერსონალური გამოფენა ამ საერთაშორისო ფორუმზე. გამოფენა გახსნა თავად აკადემიის პრეზიდენტმა **გიორგი სტროლოვმა: „თქვენ დიდი სიხარული მოგვიტანეთ. თქვენი სუფთა არქიტექტურა, რომელიც ჰგავს ლამაზ ანკარა მუსიკას, ყველა ჩვენგანს დიდ სიამოვნებას ჰგვრის“.**

უაღრესად საყურადღებოა გამოჩენილი თეორეტიკოსის, ფილოსოფოსის **ვიაჩესლავ გლაზიჩევის** ლაკონური და გულახდილი „აღიარება“: **„უეჭველი წარმატება ხვდა ვახტანგ დავითაიას გამოფენას „ინტერარქ-87“-ზე, შედარებით მცირეს, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოს საბჭოთა არქიტექტურაზე გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულებისა, როგორც სახიერებას მოკლებულ საპროექტო მანქანაზე“.**

გამოფენას მაღალი შეფასება მისცეს **ფელიქს კანდელამ, ვიტაუტას ჩეკანაუსკასმა, იური ვლატონოვმა, UIA-ს პრეზიდენტმა როდ ხაკნიმ, პიშო კუროკავამ, დენის შარპმა, ვიტორიო გრეგოტიმ, ჩარლზ კორრეამ, რეიმა პიეტილამ, გოგდან გოგდანოვიჩმა, ხორხე გლუსგერგმა.** გამოფენა ნახა ტრიენალეს ასობით მონაწილემ, სტუმარმა, სტუდენტმა.

– „ამ გამოფენის ნახვის შემდეგ გიჩნდება სურვილი იხილო საქართველო“. ბერნარდ ზერფუსი – საფრანგეთის ნატიფი ხელოვნების და არქიტექტურის აკადემიის აკადემიკოსი.

გამოფენის შემდეგ, შედგა საავტორო გამოსვლა – ჩვენება, რომელიც სხდომის თავმჯდომარემ ასე შეაფასა: **„გრწყინვალე ბუნება, გრწყინვალე ხალხი, გრწყინვალე არქიტექტურა“.**

* * *

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის კრებული **„არქიტექტურა და საზოგადოება“** (№6. 1987) მთლიანად ეძღვნება არქიტექტურული კონტექსტის პრობლემას და ეს პრობლემა განხილულია ხუთი არქიტექტორის მაგალითზე: **გოგდან გოგდანოვიჩი (იუგოსლავია), ვახტანგ დავითაია (საქართველო), იუსტუს დაჰინდენი (შვეიცარია), რიჩარდ ინგლანდი (მალტა), იმრე მაკოვეცი (უნგრეთი).**

1990 წელს მოსკოვში გამოვიდა აკადემიკოს **ალექსანდრე რიაგუშინის** მონოგრაფია – **„არქიტექტურული შემოქმედების ახალი ჰორიზონტები. 1970-1980 წლები“**, სადაც პრობლემა განხილულია ექვსი საბჭოთა და ექვსი უცხოელი არქიტექტორის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე. საბჭოთა ექვსეული, რომელიც წარმოდგენილი იყო საბჭოთა არქიტექტურის ცოცხალ კლასიკოსებად აღიარებული **ფელიქს ნოვიკოვით, მიხეილ პოსოხინით, ევგენი როზანოვით, ალექსანდრე როჩეგოვით და მიქაელ ჰუსეინოვით,** ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი გახლდათ ვახტანგ დავითაია. უცხოელი წარმომადგენლები კი იყვნენ მსოფლიო არქიტექტურის მეტრები: **რიპარდო გოფილი (საფრანგეთი), მაიკლ გრეივზი (აშშ), ფილიპ ჯონსონი (აშშ), პიშო კუროკავა (იაპონია), სერ ჯეიმს სტერლინგი (ინგლისი), სერ ნორმან ფოსტერი (ინგლისი).**

2011 წელს პრაღის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტმა გამოსცა სასწავლო მონოგრაფია სახელწოდებით **„არქიტექტურა, პროექტები, რეალიზაციები“.** ესაა XX საუკუნის მსოფლიო არქიტექტურის პრაქტიკისა და თეორიის, ფართოდ ილუსტრირებული „პარალელური ტექსტები“.

ავტორები, პროფესორ **ოლდრიხ შევჩიკის** ხელმძღვანელობით, XX საუკუნის 19 არქიტექტორის და „ბაუჰაუზის“ მაგალითზე განიხილავენ XX საუკუნის არქიტექტურის ტენდენციებს. ავტორების პოზიცია ასეთია: XX საუკუნის არქიტექტურა, სტილი „მოდერნი“ არ არის ერთგვაროვანი მსგავსად ადრინდელი სტილებისა, არამედ მრავალსახაა, განსხვავებულთა ერთიანობაა. ალბათ ამან განაპირობა განსხვავებული მხატვრული ხედვის ოსტატთა შერჩევა, XX საუკუნის კორიფეების გვერდით, შედარებით „ახალგაზრდა“, მოქმედი, ცოცხალი არქიტექტორების: **ალდო როსსის, მარიო ბოტას, იმრე მაკოვეცის, ქრისტიან დე პორტზამპარკის, პეტერ ზუმტორის, ჰერცოგი და დე მეურონის, რიკარდო ბოფილის, ევგენი ასისის და ვახტანგ დავითაიას შეყვანა.** ვახტანგ დავითაია ამ წიგნში წარმოდგენილია სტატიით – „ტრადიცია, კონტექსტი, კომუნიკალობა“ და 37 ილუსტრაციით.

„უზომოდ ამაყი ვარ, რომ XX საუკუნის არქიტექტურის მამების, ფრენკ ლლოიდ რაიტის, ჰენრი ლუის სალლივენის, ადოლფ ლოოსის, პიტერ ბერენსის, ბრუნო ტაუტის, ვალტერ გროპიუსის, ლე-კორბუზიეს, ლუდვიგ მიის ვან დერ როეს, ერიხ მენდელსონის, ოსკარ შლემერის, ასევე თანამედროვეების გამოჩენილი არქიტექტორების კოჰორტაში რომ აღმოვჩნდი“. ვ. დავითაია.

1992 წელს **ვახტანგ დავითაია** მიწვეული იყო ქ. ნარას (იაპონია) საერთაშორისო არქიტექტურულ სიმპოზიუმზე. (თვრამეტი უცხოელი და თორმეტი იაპონელი არქიტექტორი, პერსონალური გამოფენით და საავტორო გამოსვლით). მონაწილეთაგან რვა პრიკეერის პრემიის – „არქიტექტურული ნობელის“ ლაურეატი იყო. გამოიცა ამ სიმპოზიუმის „დღიური“ სამ ტომად. მონაწილეთა ექსპოზიცია გადაეცა ნარას თანამედროვე არქიტექტურის მუზეუმს. აი, რა შეფასება მისცა ბატონი ვახტანგის საავტორო გამოსვლას სხდომის წამყვანმა, გამოჩენილმა ინგლისელმა არტკრიტიკოსმა **დენის შარპმა: „დიდი მადლობა პროფესორ ვახტანგ დავითაიას თავისი ქვეყნის უნიკალური კულტურის ასეთი იშვიათი, მომაჯადოებელი და მგრძნობიარე წარმოჩენისათვის. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ სიმპოზიუმის აღმოჩენა საქართველოა“.**

„ადამიანი მთლიად ღმერთისგან დაგიწყებული უნდა იყოს, რომ მისი გამოსვლა არქიტექტურულ ასპარეზზე დაემთხვეს ხრუშჩოვის „არქიტექტურული იდეების“ გაფუჩქვნის პერიოდს. მთელი უბედურება იმაშია, რომ ეს „იდეები“ კიდევ არსებობენ მისი გარდაცვალების შემდეგაც და მიაღწიეს საბჭოთა კავშირის დაშლამდე... მე უკვე ადრეულ წლებში გავაცნობიერე, რომ არსებობდა ორი გზა – ან უნდა დამეკარგა სახე, უნდა გავმხდარიყავი ინსტრუმენტი, მეკეთებინა არქიტექტურა ბრმებისთვის, ან შევგუებოდი იმ აზრს, რომ პროექტების უმრავლესობა დარჩებოდა განუხორციელებელი. მე ავირჩიე მეორე გზა...“ ვ. დავითაია.

ამ კონტექსტში ბუნებრივია კითხვა, რას შეიძენდა ქართული არქიტექტურა, ზოგადად კულტურა, რომ განხორციელებულიყო პროექტები:

ეს შენობები იქნებოდნენ ფასდაუდებელი წვლილი თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის ტენდენციების კონტექტში ქართული რეგიონალიზმის, „ტრადიციისა და თანამედროვეს“ ძიებისა.

არარეალიზებული პროექტების ჩამოთვლა, მათში ჩადებული გეგმარებით პრინციპების განხილვა, ამ საიუბილეო სტატიის მიზანი არ არის. ის ცალკე განხილვის საგანია. ზოგადად კი ვიტყვი, ხუროთმოძღვრის პოზიცია, პრინციპები უცვლელია – კონტექსტი, რეგიონალიზმი, თანამედროვე. ვახტანგ დავითაიამ ყოველთვის ზუსტად იცის რა უნდა, რატომ უნდა. ის ყოველთვის უმოკლეს გზას ეძებს მიზნის აღსრულებისათვის.

განსაკუთრებულია ვახტანგ დავითაიას სამოცწლიანი მოღვაწეობა არქიტექტორთა თაობების აღზრდაში. ჩვენ, ბატონი ვახტანგის სტუდენტებს, ამჟამად მის გვერდით მოღვაწე კოლეგებს, გვახსოვს მისი პედაგოგიური ლექსიკა, იმ პერიოდისთვის სრულიად უცნაური ფრაზები: „დააპროექტეთ ემოცია, განწყობილება, ატმოსფერო“, „მეტი სცენოგრაფია, მეტი სანახაობა“, „მეტი თეატრი“, „მეტი მეტაფორები“, „მეტი ამბიცია“, „ურთიერთშეღწევადი, კომუნიკაბელური სივრცეები“, „დაივიწყეთ სიტყვა „პროექტირება“, გამოიყენეთ „რეჟისურა“, „ერიდეთ ციტირებას, ეძებეთ რემინისცენციები“, „კონტექსტი ისტორიასთან, ურბანულ გარემოსთან“, „ჭენიუს Lოკი“ – „ადგილის სული“, „რეგიონალიზმი“ და ასე შემდეგ.

„დააკვირდით პიანისტის თითების ფორიაქს, მოქანდაკის თითებს ძერწვისას და მექანიკოსის, როდესაც მას ფორმა გამოჰყავს. აკეთეთ ესკიზები ხელით. თითები აზროვნებენ. კომპიუტერი ვერ შეცვლის თითებს“. ვ. დავითაია.

თამაზ დოგრაშვილი

დასასრული შემდეგ ნომერში



აფხაზეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. სოხუმში

გაუბედურებულ სირიას ყველა თავისკენ ექაჩება

სირიაში გაშარ ასადის რეჟიმი დაეცა. თვითონ, ოჯახთან ერთად, რუსეთში გაიქცა, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. ასე დამთავრდა ასადების ოჯახის ნახევარსაუკუნოვანი მმართველობა. ამ დროს, გაშარ ასადის მამის, ჰაფეზ ასადის შექმნილი რეჟიმი თავის დროზე, იმდენად მყარად იდგა, რომ ვერავის წარმოედგინა მისი ასეთი დაისი. რეჟიმს ყოველთვის ზურგს არმია და უშიშროების ძალები უმაგრებდნენ. გაშარ ასადმაც, ამ წლების განმავლობაში, საკმაოდ საზრიანად იმოქმედა და, რუსეთ-ირანის დახმარებით, სამოქალაქო ომში თითქოს გამარჯვებული გამოვიდა!..

2023 წელს, ასადმა მრავალწლიანი საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა შეძლო. არაბთა ლიგის სამიტზეც კი მიიწვიეს. მაშინ, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ არაბულმა ქვეყნებმა და, ზოგადად, მთელმა მსოფლიომ მას ლეგიტიმაცია დაუდასტურა, ანუ, წესით, კიდევ დიდხანს უნდა ყოფილიყო სირიის მმართველი. სინამდვილეში, ასადის რეჟიმი მყიფე აღმოჩნდა. სირიის გაერთიანებული ოპოზიციის სამხედრო ძალებმა 11 დღეში შეძლო ის, რასაც წლების განმავლობაში დიდი სისხლის ფასადაც კი ვერ ახერხებდა. საკვირველი ისაა, რომ ოპოზიციამ, ფაქტობრივად, ხელის გაუნძრევლად გაიმარჯვა. ქალაქები უბრძოლველად ჩაბარდა. ასადის ნაქები არმია კი, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ერთი სიტყვით, რეჟიმი ხუხულასავით დაინგრა. მსოფლიო ამ ფაქტს დაუფარავი აღფრთოვანებით შეხვდა. ყველაზე მეტად, სირიელი ლტოლვილები ზეიმობდნენ ევროპასა და თურქეთში. ასევე ხაროობდა ოპოზიცია და სირიის მოსახლეობა. ევროპული მასმედიის აზრით, ახლა მთავარია, ეს აღტკინება ისევ ტრაგედიით არ დამთავრდეს. მსგავსი სცენები არაერთხელ გვინახავს თანამედროვე ადამიანებს. მაგალითად, როცა ამ ორი ათეული წლის წინ, ერაყში სადამ ჰუსეინის და ლიბიაში კადაფის რეჟიმები დაეცა, ყველას ეგონა, რომ ამ ქვეყნების გზა მომავლისკენ ია-ვარდებით იქნებოდა მოფენილი. დრომ კი, სულ სხვა სურათი აჩვენა: დღეს ერაყი დანაწევრებულია და ლიბიაში ქაოსი სუფევს. სწორედ, ამიტომ ისმის გარდაუვალი კითხვა: რა ელის სირიას?

სირიის მომავალი ბევრ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, რომ სირიას არ აქვს დემოკრატიული ცხოვრების გამოცდილება. არც ძველი წყობა ეყრდნობოდა დემოკრატიულ საწყისებს და არც ახალი პოლიტიკური ძალები საზრდოობენ ამ იდეალებით. თუ ვინმე ასეთი იყო **პიროვნულად, ციხეში აღესრულა, ან დასავლეთში გაასწრო. ოპოზიციის ლიდერი, აბუ მოჰამად ალ ჯულანი და მისი თანამებრძოლები ისლამისტები არიან.** საუკუნის დასაწყისში, ის ალ-ყაიდას შეუერთდა. სადამ ჰუსეინის დაცემის ხანაში, ამერიკელებმა დაიჭირეს, მაგრამ, როცა გათავისუფლდა, ისლამურ სახელმწიფოს შეუერთდა სირიაში. მოგვიანებით, ალ ჯულანმა თავისი მძლავრი სამხედრო დაჯგუფება შექმნა, ისლამურ სახელმწიფოს გამოეყო და მის მიერ შექმნილ პოლიტიკურ ძალას ჰაიათ თაჰრირ აშ შამი დაარქვა, რომელიც, მისი თქმით, რადიკალურ ისლამს ემიჯნება და თავს ზომიერ ისლამისტად აღიარებს.

ასადის რეჟიმი, მიუხედავად თავისი სისასტიკისა, სეკულარული ძალა იყო. ისლამისტებს კი სახელმწიფოს წყობაზე სულ სხვა შეხედულება აქვთ. ამიტომ, ასადის მხარდამჭერი ალავიტები შიშით უყურებენ თავიანთ მომავალს.

ოპოზიციაც, როგორც თავად სირია, არ არის ერთგვაროვანი. ყველა სამხედრო თუ პოლიტიკურ დაჯგუფებას ქვეყნის მომავლის საკუთარი ხედვა აქვს. სირიის მომავალი გარეშე ძალებზეც დიდადაა დამოკიდებული. თურქეთი ცდილობს თავისი მოძმე ტომები დაიცვას და ქურთები შეავიწროვოს. თურქული ძალები სირიის ჩრდილოეთში უკვე ებრძვიან ქურთებს.

ისრაელს სირიაში რადიკალური ისლამის მოსვლა აშინებს. ისლამისტური ძალების შესასუსტებლად, ისრაელის სამხედრო შენაერთებმა, ამ დღეებში, ფაქტობრივად, გაანადგურეს სირიის ფლოტი და სხვა სამხედრო ობიექტები. ასევე, ისრაელი ბუფერული ზონის შექმნის მიზნით, სირიის ტერიტორიის სიღრმეში 20 კილომეტრის მანძილზე შეიჭრა. ამერიკის ავიაციამ, აღმოსავლეთში, ისლამური სახელმწიფოს ობიექტები დაბომბა. გაურკვეველი რჩება რუსეთის ორი დიდი სამხედრო ბაზის მომავალი. მოკლედ, სირია რთული ტრანსფორმაციის პროცესშია. ექსპერტების აზრით, ამ გარდაქმნაში, თავიანთი როლები უნდა ითამაშოს ამერიკამ, ევროპამ, თურქეთმა და სპარსეთის ყურის ქვეყნებმა, რომელთა დახმარებით, სირიამ უნდა მოახერხოს ნორმალურ სტაბილურ ქვეყნად ჩამოყალიბება. ალბათ, მხოლოდ ასე შეიძლება მოხდეს პოზიტიური ძვრები სირიაშიც და მთელ დანარჩენ რეგიონშიც.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ბრიტანეთის დაზვერვამ პაპი სიკვდილისგან იხსნა

ერაყში მოგზაურობის დროს, რომის პაპ ფრანცისკეს მკვლელობის შეთქმულება მას შემდეგ ჩაიშალა, რაც ბრიტანული დაზვერვისგან მიიღო ინფორმაცია, ნათქვამია მის ავტობიოგრაფიაში. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

რომის პაპი წერს, რომ 2021 წლის მარტში, ბაღდადში ჩასვლის შემდეგ, მას უთხრეს, რომ ღონისძიებაზე, რომელსაც ის უნდა დასწრებოდა, თავს დაესხმებოდა ორი თვითმკვლელი ტერორისტი.

როგორც პაპი იტალიურ გაზეთ **Corriere della Sera**-ს მიერ გამოქვეყნებულ ნაწყვეტებში წერს, მოგვიანებით, ორივე თავდამსხმელი დააკავეს და მოკლეს.

ვიზიტი, რომელიც კორონავირუსული პანდემიის დროს სამი დღე გაგრძელდა, მშვიდობიანად დასრულდა.

ვოლოდიმირ ზელენსკი:
ამ დროისთვის უკრაინას არა აქვს ძალა ტერიტორიების დასაბრუნებლად!

ამ დროისთვის უკრაინას არ აქვს ძალა რუსეთისგან ტერიტორიების დასაბრუნებლად, უკრაინელებს შეუძლიათ, მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების დიპლომატიური ზეწოლის იმედი ჰქონდეთ, რათა პუტინი აიძულონ, დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ფრანგულ გაზეთ „პარიზიენთან“ ინტერვიუში განაცხადა.

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ყველას ეშინია პუტინის რუსეთის, რომელიც სარგებლობს დაუსჯელობით. ზელენსკის განცხადებით, ახლა უკრაინა არ არის სუსტი, მაგრამ არც ძლიერ მდგომარეობაში მოლაპარაკებებისთვის.

„ჩვენ გვჭირდება ძლიერი ამერიკა და ევროპა პუტინზე ზეწოლისთვის და ამ ომის შესაჩერებლად. ჩვენ ნატოში? ჩვენ არ ვიცით. ვიქნებით თუ არა ევროკავშირის ნაწილი? დიახ, მომავალში, მაგრამ როდის? ასეთ პირობებში პუტინთან მაგიდასთან დაჯდომა მას მისცემს უფლებას, გადაწყვიტოს ყველაფერი მსოფლიოს ჩვენს მხარეში. ჯერ უნდა შევიმუშაოთ მოდელი, სამოქმედო გეგმა ან სამშვიდობო გეგმა, რაც გინდათ დაარქვით. მაშინ ჩვენ შეგვიძლია, გადავცეთ ის პუტინს ან უფრო ფართოდ, რუსებს. მსოფლიოში არცერთ ლიდერს არ აქვს უფლება უკრაინის გარეშე პუტინთან მოლაპარაკების. ეს მანდატი არავისთვის გადაგვიცია. ჩვენ მსხვერპლნი ვართ. უსამართლო იქნება, თუ ყველამ დაიწყო საუბარი იმაზე, როგორ უნდა იცხოვროს ქვეყანამ. ფრანგებმა საფრანგეთში, იტალიელებმა იტალიაში ან ამერიკელებმა აშშ-ში იციან, რა უნდათ საკუთარი თავისთვის. უკრაინელებმაც“, – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

ინდონეზიაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

ინდონეზიაში, ქალებისა და ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, – ამის შესახებ ქალთა გაძლიერების და ბავშვთა დაცვის მინისტრმა არიფა ფაუზიმ განაცხადა.

„ჩვენ გამოვაცხადეთ საგანგებო მდგომარეობა ქალებისა და ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის გამო“, – თქვა ფაუზიმ, რომლის სიტყვებსაც ინდონეზიური სააგენტო **ANTARA** ციტირებს.

ამასთან, მინისტრმა ხაზი გაუსვა სამინისტროებსა და ინსტიტუტებს შორის სინერგიისა და თანამშრომლობის აუცილებლობას ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

„კოორდინაცია და სინერგია აუცილებელია, რადგან ამ პრობლემას მარტო ვერ გადავჭრით. ჩვენ გვაქვს შეზღუდული უფლებამოსილებები და ბიუჯეტი. თუმცა, საერთო ცნობიერებით, ჩვენ შეგვიძლია ამ პრობლემის მოგვარება ერთად“, – განაცხადა არიფა ფაუზიმ.

მისივე თქმით, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ქალები შეადგენენ ინდონეზიის მოსახლეობის თითქმის ნახევარს, რაც შეადგენს 49,42%-ს, ხოლო ბავშვები შეადგენენ 31,6%-ს.

აზერბაიჯანის მედია უცხოეთიდან არ უნდა ფინანსდებოდეს!

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ისტორიაში შევა, როგორც ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს დახმარებას იძ, სადაც არ გჯირდება.

ამის შესახებ ილჰამ ალიევმა რუსულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

„ბაიდენის ადმინისტრაცია გვეუბნება, ჩვენ გვინდა დაგეხმაროთო. ჩვენ ვპასუხობთ, მადლობა, არ გვინდა. ისინი გვეუბნებიან, „არა, ჩვენ მაინც გვინდა“. მათ აქვთ ასეთი სტრუქტურა „იუესაიდი“, რომელსაც სურს დახმარება, მაგრამ, რატომღაც არა იქ, სადაც საჭიროა“, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ „იუესაიდი“ პოლიტიკიდან საერთოდ უნდა წავიდეს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის თქმით, დონალდ ტრამპმა USAID-ი შეიძლება საერთოდ გააუქმოს.

მისივე თქმით, რუსეთის გადაწყვეტილება, აეკრძალა „იუესაიდის“ საქმიანობა, სწორი იყო.

„აზერბაიჯანული მედია უცხოური წყაროებიდან არ უნდა ფინანსდებოდეს, თუნდაც 1%-ით. და რატომ უნდა ფინანსდებოდეს? ჩვენ ხომ არ ვაფინანსებთ მედიას აშშ-ში. მათ რაში სჭირდებათ ჩვენი მედიის დაფინანსება?“, – თქვა ილჰამ ალიევმა.

პური ჩვენი არსობისა...

პირველადი მოხმარების პროდუქტი მეტ ყურადღებას იმსახურებს!

საქართველოში პურპროდუქტების დარგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ძალიან საინტერესოა ამ დარგის განვითარების სამრეწველო პოტენციალი – მარტო დედაქალაქს დღე-ღამეში 300-400 ტონამდე პური ესაჭიროება, ქვეყანას კი წელიწადში – 700-800 ათასი ტონა ხორბალი და აქედან წარმოებული ფქვილი. მარტივი არ გახლავთ თანამედროვე პირობებში ქალაქის დაპურება, თუნდაც დისტრიბუციის საკითხები, რადგანაც ამას ხელშემწყობი სათანადო პირობები უნდა შეექმნას.

დღე-ღამეში ჩვენში პურის მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმა 300 გრამია, (მხედველობაშია 1 ადამიანი), თუ ამ ციფრებს ევროპულ ქვეყნებს შევადარებთ იქ საშუალოდ 150-200 გრამია, ხოლო ასევე შედარებისათვის აზიის ქვეყნებში, მხედველობაშია შუა აზიის ქვეყნები, დღიური ფიზიოლოგიური ნორმა, 400 და 500 გრამიცაა. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ადრე საკვებად ბრინჯით იყვნენ პრიორიტეტული, დღეს იქაც პურის მოხმარების ზრდა ფიქსირდება – ჩინეთი და ინდოეთი 100 მილიონ ტონაზე მეტი ხორბლის წარმოებას ახორციელებენ.

საქართველოში საქარხნო პურის წარმოება 1880 წლიდან იწყება, როდესაც გერმანელმა კოლონისტებმა ევროპული ტიპის ნამცხვრის და პურის ცხობას მიჰყვეს ხელი. ასევე საქართველოში მდგარი რუსულ სამხედრო ნაწილებში დაიწყეს საქარხნო ტიპის პურის ცხობა ფურნის ტიპის ღუმელებში.

სოფრომ ვარაზიშვილი

უნდა ითქვას, რომ მანამდე თბილისში პურის მცხობელთა გაერთიანება არსებობდ.ა მისი უსტაბაში – ხელმძღვანელი რაჭველი კაცი **სოფრომ ვარაზი (ვარაზიშვილი)** გახლდათ, სადაც ძირითადად ლავაშისა და შოთის სახის პურს აცხობდნენ. ჩვენ მოვიპოვეთ სურათი და მეპურეთა გაერთიანებული ფოტოები, სადაც ისინი სოფრომ ვარაზთან ერთად თავიანთი დროშით არიან აღბეჭდილნი. თბილისში თითქმის ყველა უბანში მუშაობდა შეშაზე კუსტარული ტიპის თონეები, სადაც უმეტესად რაჭველი მამაკაცები შრომობდნენ. ისტორიამ შემოგვინახა თბილისში „პურის მოედანი“, სადაც განლაგებული იყო რამდენიმე პურის საცხობი, მათ შორის იმ დროისთვის ცნობილი „მამის ჯვარის ლავაშის პურის საცხობი“.

აქედან მოდის ქალაქური ჟარგონი თქმა **„ხომ არ გინდა, ჯვარის მამის ლავაშივით გაგაბრტყელოო,** რომელიც თბილისური ყოფის კარგად მცოდნე მიხეილ ჭიაურელმა თავის ფილმში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ გამოიყენა.

საინტერესოა, რომ ევროპის ძველ ქალაქებში, რომში, ბრიუსელში, პარიზში, მიუნხენში დღესაც დგას მეპურეთა ძეგლები, არსებობს მეპურეთა უბნები, ქუჩები და მოედნები. თბილისში არსებობდა გერმანელ მეფუნთუშეთა გილდიაც და დიდი მოწონებით სარგებლობდა. შემთხვევით კი არ იყო, შემდგომ წლებში თბილისში ცნობილი საკონდიტროები პლეხანოვზე, მარჯანიშვილზე ან დიდუბეში.

გვაქვს ძალიან საინტერესო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ცნობილი მოგზაური **შარდენი** XVII საუკუნეში ქართლის მეფესთან სტუმრობისას აღნიშნავს სამნაირი პურის არსებობას ერთი შოთის მაგვარი პატარა პურებიაო, – შემდეგ თხელი ფურცლივით ლავაში და ბოლოს ტკბილი პურიო, ანუ ალბათ „ნაზუქი“ აქვს მხედველობაში. არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1787 წელს დავით გურამიშვილს „დავითიანში“ გამოყენებული აქვს წყლის წისქვილის ნახაზი და განმარტავს, როგორ უნდა მოეწყოს იგი. წერილს აქვს სათაური „სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა“, რომელსაც ურთავს ლექსად შემდეგ სტროფებს:

„ღმერთო მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები,
ღმერთო დამასწარ ზაფხულსა
ფქვილს ამ წისქვილზე დაფქულსა“

1887 წელს პურისა და პურპროდუქტების მნიშვნელობაზე ილია ჭავჭავაძე მთელ შრომას აქვეყნებს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს ქვეყნისათვის ამ პროდუქტით მომარაგების, წარმოების მნიშვნელობას.

პირველი მექანიკური პურის ქარხანა თბილისში გასული საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა სადგურის მიმდებარედ. ქარხანა აწარმოებდა 20-30 ტონა პურს კონვეიერული მექანიკა და იკური მექანიზმით, ამავე 30-იან წლებში მაკარონისა და პურის N2 ქარხანა აშენდა, რადგანაც კუსტარული ტიპის თონეები ქალაქის მზარდ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდნენ. ქარხნების ავტომატიზაცია, კონვეიერული და მანქანა-დანადგარებით ინჟინრული აღჭურვა უკავშირდება გამოცდილი ინჟინრის **ადოლფ ხუროძის** მართლაც დაუღალავ ზრუნვასა და შრომის დარგის ხელმძღვანელად (მინისტრად) დანიშვნას. სწორედ მის დროს ინიშნება საქპურმრეწვის მთავარ ინჟინრად **რაჟდენ გამსახურდია,** რომელიც ითვლება ქართული პურის წარმოების კონსტრუქტორ-დამფუძნებლად, დარგში ნოვატორული წინადადების დამნერგავად. მან უმაღლესი სასწავლებლებიდან დარგში მოიყვანა ახალგაზრდა თაობა და შექმნა ახალგაზრდა სპეციალისტების (ინჟინერ-ტექნიკოსთა) მთელი პლეადა, დაიწყო ქართული საფუარის ქარხნის მშენებლობა, შემდგომში ქართული საფუარის წარმოება (ვიტალი კვინიხიძე სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.) ქალაქში ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა მექანიზებული პურის ქარხნები, **რაჟდენ გამსახურდიას** კონსტრუქციის ქართული პურის ღუმელები ტირაჟირდებოდა და იდგმებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში, ტაშკენტსა და ბაქოში, ბულგარეთსა და ავღანეთში. დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ისინი საკმაოდ ენერგოტევადი იყვნენ, რასაც დღეს, თუ არსებულ პურის ფასებს გავუტოლებთ, საკმაოდ ძვირია.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ქართული ხორბლის გადამამუშავებელი მრეწველობა – ელევატორები და წისქვილები. უნდა ითქვას, როდესაც ამ დარგის ხელმძღვანელად **შოთა ჭანუყვაძე** დაინიშნა (ცეკას ყოფილი მდივანი), მას კარგი ურთიერთობები ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რაც ნამდვილად დადებითად წაადგა საქართველოში ხორბლისა და ფქვილის წარმოებების განვითარებას, რომელიც ამიერკავკასიის სიმძლავრეზე იქნებოდა მორგებული ფოთისა და ბათუმის პორტების გამოყენებით. აშენდა შესანიშნავი სიმძლავრის წისქვილ-ქარხნები, რომელსაც, სამწუხაროდ, ისევე როგორც ქართული საფუარის წარმოებას არ გაუფრთხილდნენ, არ შეისმინეს პროფესიონალების განგაში, ამიტომაც დღეს ხმამაღლა ვაცხადებ – პურპროდუქტების დარგი ყოველთვის გასაფრთხილებელია. თუ გვინდა უზრუნველყოთ სასურსათო სუვერენიტეტი!

საქართველოს პურპროდუქტების დარგში მოვიდნენ ახალი, თანამედროვე ხედვისა და გაქანების ადამიანები. აბანოთუბანში ძველ სტილზე აშენდა და დამშვენდა „პურის სახლი“, სადაც ძველი ტრადიციებია წარმოდგენილი. გაჩნდა თანამედროვე ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მორგებული საწარმოები, თუმცა, სამწუხაროდ, მოიშალა ფქვილის ტარის გარეშე გადაზიდვის პროგრესული ფორმები და მეთოდები. ძალიან სასიამოვნოა რომ წელს მეტი ხორბალი მოვიწიეთ, მაგრამ პრობლემებიც გაჩნდა – ხორბლის მომყვანს ანაზღაურება მეტი სურს, თუ მოტივაცია არ ექნება ამ საქმეს აღარ მოკიდებს ხელს. ამ დროს პურის ფასი იმის საშუალებას არ გვაძლევს, ხორბალში მეტი გადაუხადონ ფერმერებს, ეს საკითხი დასახვეწი და მოსაგვარებელია. გაჩნდა ისეთი გამოწვევები, როგორიცაა პურის დისტრიბუცია, რადგანაც გადატვირთულ ქალაქში დისტრიბუცია ძნელდება, ჯარიმები კი იზრდება, მცხობელები ანაზღაურების მომატებას და ხელფასის მატებას ითხოვენ, რადგანაც პურის ცხობაში ცვლიანი სამუშაოა და გარემო საკმაოდ არაკომფორტულია განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, თუ ადრე გამოწვევა იყო ფქვილი და მისი ფასები, დღეს, აუცილებელია შეიცვალოს თითოეულის დამოკიდებულება პურის სფეროს მიმართ. თუ ვამბობთ, რომ ჩვენთან ეკონომიკური ზრდაა – იბადება სრულიად ლოგიკური შეკითხვები, უნდა იმუშაოს საბაზრო პრინციპებმა, მიუხედავად იმისა ფასების ცვლა არავის აწყობს.

ვფიქრობ, პრობლემა არ უნდა იყოს, რადგან უფრო მოქნილად და მიზნობრივად იქნება გამოყენებული ფქვილზე დაწესებული 12 ლარიანი ფასნამატი, როგორც ცნობილია ბიუჯეტში 10 მილიონზე მეტია აკუმულირებული. შესაძლებელია სახელმწიფო ისევ პურპროდუქტების დარგს შეეხიდოს – სეზონის დროს ფერმერებს, ზამთრობით პურის მწარმოებლებს, ხოლო შემოდგომით ხორბლის გადამამუშავებელ საწარმოებს, რაც უზრუნველყოფს ამ დარგში სტაბილურად მუშაობის გარემოს. ასეთი ქმედებით უზრუნველყოფთ ქვეყანაში პურის წარმოების ყველა ეტაპს – **ხორბალი, ფქვილი, ცხობა, მიწოდება**. მინდა იცოდნენ, პირველადი მოხმარების პროდუქტი მეტ ყურადღებას იმსახურებს.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ, თუ როგორ დაინერგა და ვითარდებოდა საქართველოში მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება.

რატომ გვთხოვს ორგანიზმი გამუდმებით ტკბილეულს?!

ტკბილეულზე მოთხოვნა, მსოფლიოს მასშტაბით, უამრავი ადამიანის პრობლემაა. თუ ადამიანს ჭარბი წონა და სიმსუქნე არ აწუხებს, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თუ სახეზეა მომატებული კილოგრამები, ადამიანები იწყებენ ფიქრს, რას უკავშირდება ტკბილის მიმართ ასეთი გადაჭარბებული სიყვარული. მოდით, დავასახელოთ მიზეზები, რომლებსაც ექიმები ტკბილი საკვების მოთხოვნილებას უკავშირებენ.

პირველი მიზეზი ინსულინრეზისტენტობაა. საქმე ინსულინს ეხება, რომელიც ორგანიზმში შაქრის დონეს არეგულირებს. ინსულინრეზისტენტობის დროს ინსულინი სათანადოდ ვერ მუშაობს და მოთხოვნა ტკბილზე ძლიერდება. ამას ემატება სიმპტომური გამოვლინებები, თავბრუსხვევა, სისუსტე და წონაში მატება.

მეორე მიზეზი, მიკროელემენტების ნაკლებობაა. ხშირად ეს გახლავთ ქრომისა და მაგნიუმის დეფიციტი. მაგალითად, მაგნიუმი დიდი ოდენობით არის შოკოლადში, ამიტომაც მისი დეფიციტის დროს, შოკოლადი განსაკუთრებით გვინდება.

კუჭ-ნაწლავის მიკროფლორის დარღვევა. ეს კი პირდაპირ კავშირშია კვებასთან. რა ტიპის ბაქტერიები დაიწყებენ გავრცელებას ჩვენს კუჭ-ნაწლავში, პირდაპირ უკავშირდება, თუ რა საკვებს მივირთმევთ.

სისხლის მიმოქცევის პრობლემა ტკბილეულის მოთხოვნილების კიდევ ერთი მიზეზია. მაგალითად, როდესაც ტვინს არ მიეწოდება ჟანგბადი, ეს შესაძლოა ორგანიზმში შაქრის დაბალი მაჩვენებლის ბრალი იყოს. სისხლის მიმოქცევის დარღვევა, შეიძლება, ასევე განპირობებული იყოს თავის ტვინის შერყევით, ასევე სხვადასხვა პათოლოგიითა და ოსტეოქონდროზითაც კი.

არასწორი კვება, რაც იმას გულისხმობს, რომ შესაძლოა, თქვენს ორგანიზმს არ ჰყოფნის

დღის განმავლობაში მიღებული კალორიები, ამიტომ თქვენი ორგანიზმი გთხოვთ სწრაფ ნახშირწყალს, რათა შიმშილის შეგრძნებამ მალე გაიაროს.

რეცეპტორებმა დაკარგა მგრძნობელობა, თუ თქვენ მიირთმევთ საკვებს, სადაც ბევრი კონსერვანტია, შესაძლოა, გემოს რეცეპტორებმა ფუნქცია დაკარგონ, ამიტომ განსაკუთრებით დიდია მძაფრი გემოების მიმართ მოთხოვნილება, შესაბამისად, ჩნდება ტკბილი საკვების მიღების სურვილიც.

ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ტკბილის მოთხოვნის ძალიან ხშირი მიზეზია. სტრესის ფონზე, ადამიანს ხშირად ტკბილის მიღება უნდება, რადგან მიიჩნევს, რომ ამით ის უფრო მშვიდდება. ამის ალტერნატივა ჰაერზე სეირნობა და აქტიური ვარჯიშია.

◎ მსოფლიო თასი

მთავრობის მხარდაჭერით

20-21 დეკემბერს ბაკურიანში საერთაშორისო სათხილამურო და სნოუბორდის ფედერაციის ეგიდით (FIS) მოგულის დისციპლინაში მსოფლიო თასის ეტაპი გაიმართება.

საერთაშორისო ღონისძიებაში მსოფლიოს წამყვანი 19 ქვეყნის 91 სპორტსმენი იასპარეზებს. ღონისძიება პირდაპირ ეთერში ევროსპორტზე გადაიცემა.

მოგულის დისციპლინა კოხტას მთაზე ჩატარდება, რომელიც საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მხრიდან აღიარებულია მსოფლიოში ყველაზე გრძელ ტრასად აღნიშნული დისციპლინისთვის.

ღონისძიება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის ტრასების სააგენტოსა“ (MTA) და სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართება.

2025 წლის ზამთრის სეზონზე მსოფლიო თასის ეტაპები გუდაურში გაგრძელდება (28 თებერვალი – 1 მარტი – სკი კროსი, 8-9 მარტი – სნოუბორდ კროსი).

აღსანიშნავია, რომ ბაკურიანში 2023 წელს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე ჩატარების შემდეგ, საერთაშორისო სათხილამურო და სნოუბორდის ფედერაციის (FIS) გადაწყვეტილებით საქართველოს კურორტები – გუდაური და ბაკურიანი მუდმივ კალენდარში მოხვდნენ, სადაც მსოფლიო თასის ეტაპები ყოველწლიურად გაიმართება.

◎ ტრიუმფის შემდეგ



საუსეგით დაიმსახურა

ჯიდაოგის საერთაშორისო ფედერაციამ გენო პეტრიაშვილი 2024 წლის პლანეტის საუკეთესო ფალავნად დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ზაფხულში პარიზის ოლიმპიური თამაშები ფინალში ირანელ ჰოსეინ ზარესთან დრამატულ ბრძოლაში გამარჯვებით მოიგო, ხოლო მანამდე აწ უკვე საქართველოს პარლამენტის წევრი ევროპის პირველობის ვერცხლს დაეუფლა.

◎ მეინ-რაუნდი

საგანგაშო არაფერია

ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის მეინ-რაუნდის მეორე ტურში საქართველოს ეროვნული ნაკრები ფავორიტ საფრანგეთთან სტუმრად 2:5 დამარცხდა (დავთაძე, გაბიჩვაძე), ხოლო ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრა კოსოვომ შინ ბულგარეთს მოუგო – 6:2.

სატურნირო მდგომარეობა: საფრანგეთი – 6, საქართველო, კოსოვო – 3-3, ბულგარეთი – 0 ქულა. გაისად 31 იანვარსა და 4 თებერვალს სწორედ ამ უკანასკნელს ვეთამაშებით.

◎ მხოლოდ ფაქტები

ციფრების ენით

როცა ქართულ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, გამორჩეულ ადგილს მივუჩენთ ხოლმე ლეგიონერთა თემას, უკანასკნელ ხანს კი, გასაგებ მიზეზთა გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჩვენი ქვეყნის არჩეული მეექვსე პრეზიდენტის სპორტულმა კარიერამ, რადგან ზოგ-ზოგიერთები მის დასაკნინებლად ნაირ-ნაირ ჭორ-მართალს იშველიებენ. რას ვიზამთ – ეს ხომ საქართველოა!

ბუნებრივია, **მიხეილ ყაველაშვილის** ადვოკატობა წყლის ნაყვაა და ამიტომ მხოლოდ ფაქტები გავიხსენოთ, რომლებიც ყველა არგუმენტზე უფრო მეტყველი გახლავთ.

უპირველესად, ეროვნული ნაკრების მაისურით გამართულ 46 მატჩში გატანილ 9 გოლზე შევჩერდეთ (1991-2002 წლები), რომლებიც შემდეგ მეტოქეებზე ნაწილდება: მალტა – 2, მოლდოვა, ტუნისი, სომხეთი, ალბანეთი, ლატვია, სლოვაკეთი და ირანი.

რაც შეეხება სამშობლოს, რუსეთისა და შვეიცარიის ჩემპიონის ოქროს მედლებს, საკითხის რეზონანსულობის გათვალისწინებით, ჩრდილოურ სამეზობლოში მოპოვებულ ტიტულზე გავამახვილოთ ყურადღება.

მაშ ასე – 1995 წელი, ვლადიკავკაზის ალანია (მთავარი მწვრთნელი **ვალერი გაზაევი**), რომლის მთავარი ბომბარდირიც 24 შეხვედრაში გატანილი 12 ბურთით სწორედ ყაველა გახდა (10-10 გოლით დაასრულეს ტურნირი კასუმოვმა და თედეევმა). აღნიშნულ წარმატებაში მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანეს აგრეთვე **მურთაზ შელიამ** (22 შეხვედრა, 4 გოლი), **სოსო გრიშიკაშვილმა** (3 მშრალი თამაში) და **ზაზა რევიშვილმა** (1 მატჩი), აგრეთვე ჩვენმა ძველმა და კეთილმა ნაცნობებმა **ზაურ ხაპოვმა, ომარ თეთრაძემ** და **ბახვა თედეევმა.**

მოკლედ, უკვე ჩანიშნულია სახელმწიფოს

ახალი მეთაურის პირველი ოფიციალური შეხვედრა საქართველოში სტუმრად ჩამობრძანებულ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან და 29 დეკემბერს უმაღლესი მთავარსარდლის საზეიმო ინაუგურაციაც მოეწყობა, მანამდე კი, მის უთავმოყვარეობასა თუ ცოდვებზე უსაგნო საუბრისას იქნებ ისიც გაიხსენოთ, რომ მის წინამორბედთაგან შევარდნაძემ არჩევნები პატიაშვილთან წააგო, სააკაშვილს, სულ მცირე, მეორე ტური დასჭირდა გაჩეჩილაძესთან, მაგრამ... ხოლო ორბელიანების სასახლეზე ფანატიკურად შეყვარებული პარიზელი ხანუმა კი, პირველ ტურში ვაშაძესთან ფიასკოს შემდეგ, ახლობელთა შეწყალებით სახელგატეხილი ასევე უმადური მარგველას მსგავსად, ქართულმა ოცნებამ ტომარასავით ჩადო პრეზიდენტის სავარძელში.

კი, მაგრამ დიპლომი?

◎ რჩეულნი

ვინისიუსის რევანში

ტრადიციისამებრ, სპორტული სეზონის ფინიშზე ნაირნაირი შემაჯამებელი ღონისძიებები ეწყობა და გამონაკლისს არც წლევანდელი დეკემბერი წარმოადგენს.

ამჯერად საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ყატარის დედაქალაქმა დოჰამ მიიქცია, სადაც ფიფას ბესტის პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონია ონლაინ-ფორმატში ჩატარდა და ლაურეატთა ვინაობა ნომინაციების მიხედვით საზეიმო ვახშამზე გამოაცხადეს.

შეგახსენებთ, რომ რჩეულნი ეროვნულ ნაკრებთა კაპიტანთა, მწვრთნელთა, გულშემატკივართა და ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ვლინდებიან.

როგორც მოგეხსენებათ, ამას წინათ ოქროს ბურთის მფლობელი სიტის ესპანელი ლიდერი **როდრი** გახდა, მეორეადგილოსანი ბრაზილიელი **ვინისიუსი** კი მთელ სამეფო კლუბთან ერთად პროტესტის ნიშნად საფრანგეთში არ ჩავიდა.

ამჯერად როლები გაიცვალა – რეალის მარცხენაფლანგელმა 5 ხმით გაუსწრო კონკურენტს და რევანში აიღო.

გაეცანით დანარჩენ ნომინაციათა გამარჯვებულებსაც:

საუკეთესო მწვრთნელი – კარლო ანჩელოტი (რეალი).

საუკეთესო მეკარე – ემილიანო მარტინესი (ასტონ ვილა).

სიმბოლური ნაკრები – მარტინესი, სალიბა, დიაში, რუდიგერი, კარვახალი, კროოსი, როდრი, ბელინგემი, ვინისიუსი, ჰოლანდი, იამალი.

დავძენთ, რომ **სანიოლმა** და **კაშიამ** უპირატესობა როდრის მიანიჭეს.

ინდივიდუალური პრესტიჟული ჯილდოს მინიჭების სამართლიანობაზე პოლემიკას წერტილი თვით რეალის კოლორიტულმა ფიგურამ დაუსვა, რომელმაც საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ფინალში მექსიკურ პაჩუკასთან მბაპესაც გაატანინა ბურთი და 84- წუთზე პენალტით თავადაც დასვა სატიტულო წერტილი – 3:0.

სამეფო კლუბმა აღნიშნული წოდება მე-9 მოიხვეჭა.

◎ ოკეანის გაღმა

მილუოკის ტიტული

გუშინ გამთენიისას ლას ვეგასში NBA-ის თასის ფინალური შეხვედრა გაიმართა, სადაც „მილუოკი ბაქსმა“ „ოკლაჰომა სითი“ დამაჯერებლად 97:81 დაამარცხა და გათამაშების გამარჯვებული გახდა.

შეხვედრის პირველი ნახევარი საკმაოდ დაძაბული იყო და ქულა-ქულაში მიდიოდა, თუმცა მესამე პერიოდში „ბაქსის“ კალათბურთელები დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და 12-ქულიანი უპირატესობით მოიგეს, რამაც, შეიძლება ითქვას მატჩის ბედი გადაწყვიტა. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე „მილუოკის“ ბერძენი კალათბურთელი **იანის ანტეტოკუმპო** გახდა, რომელმაც სამმაგი დუბლი შეასრულა. მის ანგარიშზე 26 ქულა, 19 მოხსნა და 10 შედეგიანი გადაცემაა.

აღნიშნული ტურნირი პირველად გასულ წელს ჩატარდა, რომელიც „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ მოიგო.

შეგახსენებთ, რომ გოგა ბითაძის „ორლანდო მეჯიქი“ მეოთხედფინალში სწორედ „მილუოკისთან“ დამარცხდა.

◎ ოვალური ბურთი

ძვირად ფასობს

რაგბი ევროპის 16-გზის ჩემპიონი მორჯოლოსნები ახალი სეზონის ერთწრიანი ტურნირის მატჩებს ასეთი კალენდრით გამართავენ („ა“ ჯგუფი).

1 თებერვალი: შვეიცარიასთან (ავჭალაზე).
8 თებერვალი: ნიდერლანდებთან (ავჭალაზე).
16 თებერვალი: ესპანეთში.

„ბ“ ჯგუფში ითამაშებენ: პორტუგალია, რუმინეთი, ბელგია და გერმანია.

ნახევარფინალები 1 და 2 მარტს გაიმართება, ხოლო გადამწყვეტი შეხვედრები ყველა ადგილისთვის – 15 და 16 მარტს.

შეგახსენებთ, რომ მომავალი ბრძოლები 2027 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასის შესარჩევი რაუნდიცაა, საიდანაც კვალიფიკაციას 4 საუკეთესო ნაკრები გაივლის, მეხუთეადგილოსანი კი რეპეშაჟში ჩაერთვება.

არდავიწყება

კაცი ბავშვის გულით...

რევაზ ბალანჩივაძის ხსოვნას

იქნებ, მართალია, რომ „დიდი კაცი მხოლოდ ის არის, ვისაც ბავშვური გული არ დაუკარგავს“.

და თუ ეს მართლაც ასეა, რევაზ ბალანჩივაძე, ჩვენი ბატონი რეზო, უდავოდ დიდ ადამიანად დარჩა ბოლომდე.

მისი ყოველი დღე, ყოველდღიურობა და თანაცხოვრება ამ ყოველდღიურობაში ამის დასტურია – სიკეთითა და სინათლით, ბავშვური აღტაცებითა და ერთგულებით დაასრულა თავისი დღენი; დღენი, სავსე უამრავი ისტორიით, სიხარულით, წინააღმდეგობით, ტკივილით, ადამიანური განცდით.

უნივერსიტეტის პირველი სართულიდან ბოლო, მე-7 სართულამდე ღიმილი მიაცილებდა მუდამ; ღიმილი კოლეგების, მეგობრების, სტუდენტების... იმ სტუდენტების, დღეს დილიდან ყველაზე გულწრფელად რომ გამოხატავენ სინანულს ბატონი რეზოს გარდაცვალების გამო...

„გვახსოვხართ. გვიყვარხართ. მადლობა“ – ასეთი ასობით წერილია მიმოფენილი ბატონი რეზოს ხსოვნისადმი...

და რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, ამქვეყნიდან საგზლად წაიღო უამრავი ადამიანის მახსოვრობაში გადასვლა, მათი სიყვარული და მადლიერება...

ათეული წელია ჩვენი კოლექტივის ნაწილია.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები ბატონ რეზოსთან ერთად სწავლობდნენ ფილოსოფიურ აზროვნებას.

და, განა, რა არის ამაზე მნიშვნელოვანი?

ბერტოლდ ბრეხტიც ხომ ამას წერდა? – „ყველაზე მთავარია, ადამიანს ვასწავლოთ აზროვნება“...

ჩვენამდე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტამდე, ბატონი რეზო, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე (1986 წლიდან), ყოველდღიურად ამტკიცებდა იმ ჰეგელისეულ ჭეშმარიტებას, რომ „ადამიანი უკვდავია თავისი ცოდნით. ცოდნა და აზროვნებაა მისი ცხოვრების საფუძველი და უკვდავების გარანტი.“

ამ ცოდნით დიდი გზა გაიარა ფილოსოფოსმა, ანთროპოლოგმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა (1982), პროფესორმა (1987) რეზო ბალანჩივაძემ 1938 წლის 7 ნოემბრიდან 2024 წლის 16 დეკემბრამდე...

გზა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტიდან (1960) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტებამდე (1961-1976), სხვადასხვა პარტიულ თანამდებობამდე (1976-1982), გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორობამდე (1982-1984), საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობამდე...

თუმცა, ყველაზე მეტად მაინც იაკობ გოგებაშვილის პრემიით ამაყობდა...

ასე მოვიდა ჩვენამდეც – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტამდე.

მოვიდა და გვაჩვენა, რომ „ადამიანს აქვს ძალა წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე“...

დაგვიმტკიცა, რომ „კაცი ის არის, რისიც სწამს“ და წავიდა...

წავიდა სიმბოლურად – ბარბაროობის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე...

წავიდა, როგორც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი ემერიტუსი! (2021 წლიდან სიკვდილამდე)...

დღეს უცნაური სიჩუმეა დილიდან უნივერსიტეტში; სიჩუმე, როგორც ერთგვარი პატივისცემა, სიყვარული ბატონი რეზოსადმი...

სიტყვები თითქოს სადღაც გაიბნა, დაიკარგა.

ოტია იოსელიანზე დაუწერია, ნამდვილი მოძღვართმოძღვარი იყოო...

ისიც ერთგვარი მოძღვარი იყო – ჩვენი სტუდენტების აზროვნების გზის გამკვალავი; კაცი ბავშვის გულით...

მომავალში კიდევ მეტი დაიწერება მასზე...

მომავალშიც კიდევ ბევრჯერ ვიტყვით – „გვახსოვხართ! გვიყვარხართ! გმადლობთ“...

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ 2023 წლის ანგარიში გამოაქვეყნა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ 2023 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებებია შეფასებული.

შსს-ს ინფორმაციით, დოკუმენტში დადებითად არის შეფასებული ქვეყნის ძალისხმევა სახმელეთო საზღვრის, საზღვაო და საავიაციო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, რომელიც მათ შორის გამოიხატა ახალი სისტემების დანერგვასა და საერთაშორისო სწავლებებში მონაწილეობაში.

ანგარიშის თანახმად, ოქტომბერში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ აამოქმედა სახის ელექტრონული ამოცნობის სპეციალური პროგრამა. ამასთანავე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მნიშვნელოვანი სეგმენტები აღიჭურვა 24/7-ზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით. ანგარიშში ასევე პოზიტიურადაა შეფასებული სასაზღვრო პოლიციის მიერ ახალი მობილური დაკვირვების სისტემის დანერგვა, რომელიც აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა და ხელი შეუწყო მწვანე საზღვარზე დაკვირვებისა და გამოვლენის შესაძლებლობების გაძლიერებას.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფმა, ოპერატიული პარტნიორის რანგში, კიდევ ერთხელ მიიღო მონაწილეობა ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებულ საზღვაო ანტიტერორისტულ ოპერაციაში – „ზღვის მცველი“.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დასრულდა 2023-2027 წლების საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. ასევე ხაზგასმულია, რომ საქართველო შეუერთდა გაეროს ტერორისტთა გადაადგილების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამას, რომლის მიზანია ტერორისტული დანაშაულებისა და მათთან დაკავშირებული გადაადგილების თავიდან აცილება, გამოვლენა და გამოძიება მგზავრის წინასწარი მონაცემებისა და მგზავრის სახელის ჩანაწერის სისტემის მონაცემების გამოყენებით.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საქართველო რეგულარულად მონაწილეობს ინტერპოლის ფარგლებში დოკუმენტებისა და მგზავრთა შესახებ ინფორმაციის გაზიარებაში, რაც მოიცავს მოპარულ და დაკარგულ სამგზავრო დოკუმენტებს.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ დონეზე კონტრტერორისტულ საკითხებთან დაკავშირებით.

ჯგუფურად ჩადენილი „ფსიქოტროპული“ დანაშაულისთვის 9 და 10 წელი – ციხეში!

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, აფთიაქებიდან ფსიქოტროპული პრეპარატების უნებართვოდ რეალიზაციის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, სასამართლომ ოთხი ფიზიკური პირი და ერთი იურიდიული პირი დამნაშავედ ცნო

– ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და აფთიაქებიდან ფსიქოტროპული პრეპარატების უნებართვოდ რეალიზაციის და ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე, ოთხი ფიზიკური პირი და ერთი იურიდიული პირი დამნაშავედ ცნო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა აფთიაქიდან ფსიქოტროპული პრეპარატების უკანონოდ რეალიზაციით მილიონ ლარზე მეტი ოდენობის უკანონო შემოსავალი მიიღეს. უკანონო თანხებით ქონება შეიძინეს, რომელიც სხვადასხვა პირებზე გააფორმეს, რითაც მისი წარმოშობის წყარო შენიღბეს, თუმცა თავად ფლობდნენ და განაგებდნენ აღნიშნულ ქონებას.

ფიზიკურ პირებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ჩადენილი ჯგუფურად) და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნტით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ხოლო იურიდიულ პირს 192-ე მუხლის პირველი ნაწილით (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა) წარედგინათ.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში. ორ ფიზიკურ პირს სასჯელის სახედ და ზომად 10-10 წლით, ხოლო ორს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ასევე მათ ჩამოერთვა უკანონო საქმიანობით მიღებული თანხებით შეძენილი ქონება. რაც შეეხება იურიდიულ პირს, სასამართლომ მას სასჯელად ჯარიმა დაუნიშნა და საქმიანობის უფლება ჩამოართვა, – ნათქვამია პროკურატურის გავრცელებულ ინფორმაციაში.

9 წლის ბიჭს, რომელსაც აუზში დამხრჩვალი გოგონას გული გადაუნერგეს, წყლის შიში“ დაეწყო!

ახალი კვლევა ამტკიცებს, რომ ორგანოთა გადანერგვის მქონე პაციენტებს შეუძლიათ მემკვიდრეობით მიიღონ დონორთა მოგონებები და ემოციები.

რამდენიმე ადამიანმა, რომელმაც მიიღო ახალი ორგანო, თქვა რომ განიცდიდნენ მოგონებებს, ემოციებს და პიროვნულ ცვლილებებს. ასევე, მათ გაუჩნდათ ახალი ჰობიც.

პაციენტებს სჯეროდათ, რომ ცვლილება გამოწვეული იყო ახალი ორგანოს გამო, რომელიც მათ მიიღეს.

ეს ფენომენი ყველაზე ხშირად აღინიშნა გულის გადანერგვის პაციენტებში. მაგრამ ეს ცვლილება აღინიშნებოდა მათშიც, ვინც მიიღეს თირკმელები, ფილტვები და სახეებიც კი...

ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა ამ წლის დასაწყისში, განიხილავდა 74 ტრანსპლანტაციის შემთხვევას – მათგან 23 გულის ტრანსპლანტაცია – ბოლო ათი წლის განმავლობაში.

ერთ-ერთი შემთხვევა ასეთი იყო: ცხრა წლის ბიჭმა გული მიიღო. დონორი იყო სამი წლის გოგონა, რომელიც აუზში დაიხრჩო, მაგრამ ბიჭმა არ იცოდა როგორ გარდაიცვალა მისი დონორი. დედამისმა თქვა, რომ გადანერგვის შემდეგ, ბიჭს მოულოდნელად „წყლის შიში“ დაეწყო.

ასევე, ერთმა პაციენტმა შეიყვარა პეიზაჟის მხატვრობა მას შემდეგ, რაც მიიღო გული ახალგაზრდა მხატვრისგან, რომელიც მოკლეს მისი პირველი ხელოვნების ჩვენების დროს.

ზესტაფონში ავტოსაგზაო შემთხვევას 2 თვის ბავშვი ემსხვერპლა

ზესტაფონში, სოფელ სვირში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ავარიას 2 თვის ბავშვი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

გიორგი ბუგიანიშვილის „ბორჯომმა“ ევროპა მოხიბლა!

12-16 დეკემბერს, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „ბორჯომმა“ Errichetta Festival-ში მიიღო მონაწილეობა, რომელიც იტალიის დედაქალაქ რომში გაიმართა.

ანსამბლმა ,,ბორჯომმა“ რომში, თეატრ **Garbatella** ორი ფოლკლორული კონცერტი გამართა. ფესტივალში მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალური ჯგუფები.

ანსამბლის ხელმძღვანელის გიორგი ბუგიანიშვილის თქმით, ანსამბლი ,,ბორჯომი“ იტალიაში **Errichetta Festival**-ის ორგანიზატორების მიწვევით იმყოფებოდნენ.

,,ანსამბლმა ,,ბორჯომმა“ ასეთ მასშტაბურ ფესტივალში პირველად მიიღო მონაწილეობა. თავდაპირველად დაგეგმილი გვქონდა ერთი კონცერტი, თუმცა საზოგადოების დიდი მოთხოვნის გამო მეორე კონცერტიც გავმართეთ, მინდა გითხრათ, რომ ორივე კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. მინდა ანსამბლის სახელით მადლობა გადავუხადო ბორჯომის მუნიციპალიტეტს, იტალიის და ვატიკანის საელჩოს მხარდაჭერისთვის“, – განაცხადა გიორგი ბუგიანიშვილმა.

ფოლკლორული ანსამბლი ,,იადონი“ 50 წლისაა!

ოზურგეთის ჭადრების ბაღში, ანსამბლ ,,იადონის“ ვარსკვლავი გაიხსნა. მანამდე კი, სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საიუბილეო თარიღი საზეიმო კონცერტით აღინიშნა.

ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ წლების მანძილზე იადონი წარმატებით მონაწილეობდა საქართველოში თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, სადაც არაერთი დამსახურებული ჯილდო აქვს მიღებული.

„ანსამბლ „იადონს“ ჩვენს ქალაქში ვარსკვლავი გავუხსენით. საქართველოს სახალხო არტისტის, ლოტბარის და ქორეოგრაფის გიორგი სალუქვაძის ინიციატივით, პირველად, 1968 წელს შეიქმნა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ოთხწლიანი სკოლა, სადაც წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან დაკომპლექტდა ეთნოგრაფიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „იადონი“. წლების მანძილზე იადონი წარმატებით მონაწილეობდა საქართველოში თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, სადაც არაერთი დამსახურებული ჯილდო აქვს მიღებული. ვულოცავ იუბილეს ანსამბლის ხელმძღვანელს და ანსამბლის თითოეულ წარმომადგენელს. კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებ!,“ – აღნიშნა ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ.

ღონისძიებას გურიის მხარის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალი პიესა აფხაზეთზე — ,,მე არსად წავსულვარ“...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დავით მორგოშიამ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში – „ახალი პიესა აფხაზეთზე“ გამარჯვებული პიესის „მე არსად წავსულვარ!“ ავტორს სალომე კაპანაძეს დიპლომი გადასცა. მინისტრმა მას კონკურსში გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

პიესა აგებულია ახალგაზრდების – აფხაზი თარაშის და ქართველი თათიას აფხაზეთთან დაკავშირებულ გენეტიკურ მეხსიერებაზე. მათი ურთიერთობიდან იკვეთება პიესის მთავარი სათქმელი, რომ ეს თაობა ერთმანეთს მიუტევებს, შეიყვარებს და კვლავ შეძლებს თანაცხოვრებას.

სალომე კაპანაძე არის ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ლიტერატურული წერილების კრებულებისა და ზღაპრების ავტორი. „მე არსად წავსულვარ!“ მისი პირველი პიესაა.

კონკურსი – „ახალი პიესა აფხაზეთზე“ სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ინიციატივით გამოცხადდა და გამარჯვებული პიესა ამავე თეატრის სცენაზე დაიდგმება.

ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

,,სხვისი შვილები“ როტერდამის კინოფესტივალზე

წელს, ვენეციის კინოფესტივალზე, საქართველოს ეროვნულ კინოცენტრსა და როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, როტერდამის რიგით 54-ე კინოფესტივალზე, თენგიზ აბულაძის კინოკლასიკის – „სხვისი შვილების“ – აღდგენილი ვერსიის მსოფლიო პრემიერა გაიმართება.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, კინოფესტივალი 2025 წლის 30 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით ჩატარდება. ქართულ კინოშედევრს ფესტივალის ერთ-ერთი სექციის – **Cinema Regained**-ის ფარგლებში უჩვენებენ.

ფილმის რესტავრირებული ვერსია 2023 წელს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა.

ისევ, ფიროსმანი!

..პარიზში, tim des GARÇONS-ის ინსტალაციები გამოჩნდა, განუმეორებელი ფიროსმანის გენიალური ნახატებით.

ინსტალაციები ბრენდის დიზაინერს, რეი კავაკუბოს ეკუთვნის.

საქართველოს ადგილი დასავლურ კულტურულ, შემოქმედებით და სახელოვნებო სივრცეშია ჩვენი უნიკალური მემკვიდრეობით (და ასევე ახალი ქართველი არტისტებით), რომელთა სახელები უკვე ძალიან ხმამაღლა ჟღერს.

1.5 ტონა კოკაინი ჩაძირულ ნავში!

კოლუმბიელმა სამართალდამცველებმა ჩაძირული ნავიდან 1.5 ტონა კოკაინი ამოიღეს.

კოლუმბიის არმიის სანაპირო დაცვის ინფორმაციით, ნავი ცენტრალური ამერიკისკენ მიემართებოდა. სანაპირო დაცვის მეთაურის თქმით, გადაარჩინეს 3 მამაკაცი, რომელიც მოგვიანებით დააკავეს.

არმიის მიერ გავრცელებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩამორთმეული კოკაინის სავარაუდო ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე 50 მილიონ დოლარს აღემატება.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები **გიორგი მახარაშვილი, არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა **,,კოლორში“** ე. ბაღდავაძის №3

ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 23 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8023; ევრო - 2.9416;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5598;
100 რუბლი - 2.7209; თურქული ლირა - 0.0800;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6480;
1000 სომხური დრამი - 7.1079.